პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-40 წელი | № 46 (11657) | ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

გულითადი მადლობა

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელზე დიდი რაოდენობით მიღებულია და კვლავ მოდის საბჭოთა დაწესებულებებისა და საწარმოების მუშებისა და მოსამსახურეების, კოლმეურნეების, მეცნიერების, მასწავლებლების, ექიმების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, კულტურის მოღვაწეების, სტუდენტების, პენსიონერების, დიასახლისების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, კოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისასალმებელი დეპეშები და წერილები. დეპეშებსა და წერილებში ისინი მხურვალედ უმადლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ ღონისძიებას და მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებსა და მთავრობებს მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს — გადადგან კრასტიკული ნაბიჯები არსებული შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უხდიან [illegible] ტივს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა ორგანიზაციასა და პირს, ვინც გამოგზავნა წერილები და დეპეშები, [illegible] კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ და მხურვალედ უმადლიან მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისმოყვარულ კოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

1960 წ. 22 თებერვალი.

მეგობრული შეხვედრები ინდონეზიაში

სურაბაია, 23 თებერვალი. (საკ. ინ. ინ.). გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო, მათი თანმხლები საბჭოთა და ინდონეზიელი პირები ჩამოვიდნენ სურაბაიაში — აღმოსავლეთ იავის სანავსადგურო ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში.

მთელ გზაზე აეროდრომიდან ტამბაქსარის სტადიონამდე, სადაც გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, საპატიო საბჭოთა სტუმარს აღფრთოვანებით მიესალმებოდა სურაბაიის ასეულ ათასობით მცხოვრები, იმ ქალაქისა, რომელსაც პრეზიდენტმა სუკარნომ „რევოლუციური ინდონეზიის სული და გული“ უწოდა.

სტადიონზე ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. მთავარ შესასვლელთან მოჩანს ლოზუნგი ინდონეზიურ და რუსულ ენებზე: „გაუმარჯოს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საპატიო საბჭოთა სტუმარო!“.

ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო, რომლებსაც ხალხი მჭუხარე ოვაციით შეხვდა, გაისმოდა შეძახილები ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად.

სტადიონზე ზეიმოვნად ყღერს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის სახელმწიფო ჰიმნები.

მიტინგს საზეიმო ვითარებაში ხსნის სურაბაიაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიმღები კომიტეტის თავმჯდომარე აღმოსავლეთ იავის გუბერნატორი სუვონდო. ნება მიბოძეთ, ამბობს იგი, მოგესალმოთ, ძვირფასო საბჭოთა სტუმარო, სურაბაიის მცხოვრებთა და აღმოსავლეთ იავის ყველა მცხოვრების სახელით. მოგესალმებით თქვენ, როგორც მშვიდობის მოციქულს, როგორც ჩვენი მეგობარი ქვეყნის — დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს.

ტაშის გრიალში და „ვაშას“ შეძახილებში მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში. მზითა და ყვავილებით შეხვდა ჯაკარტა საბჭოთა მთავრობის მეთაურს.
ფოტო „იზვესტიის“ სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ს. სმირნოვისა.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

თქვენო აღმატებულებავ ბ-ნო გუბერნატორო!

პატივცემულო ბ-ნო მერო!

გმირი ქალაქის სურაბაიის პატივცემულო მოქალაქენო!

ძვირფასო მეგობრებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ინდონეზიელ ხალხს უაღრესად გულწრფელი და მხურვალე სალამი.

სურაბაია ფართოდ ცნობილია როგორც სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი. სწორედ აქ 1945 წლის 10 ნოემბერს ავარდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ინდონეზიელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ალი. მე მითხრეს, რომ თქვენში სურაბაიას ადარებენ ჩვენს გმირ ქალაქს სტალინგრადს, რომლის მისადგომებზეც 1942-1943 წლებში განადგურებულ იქნენ ფაშისტური გერმანიის რჩეული ჯარები. ასეთი შედარება იმას ემყარება, რომ ორივე ეს ქალაქი ნამბოლოა სიმტკიცის სულისკვეთებისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. და ეს სულისკვეთება განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას, რომელსაც თქვენს ქალაქში დაბადებულმა, ინდონეზიის სახელოვანმა შვილმა ბუნგ კარნომ ასე კარგად უწოდა ორი მებრძოლის მეგობრობა. ჩვენს ხალხში ამბობენ: „მზე ათბობს ჰაერს, ხოლო მეგობრობა — სულს“. მე ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები ინდონეზიის ხალხის გულთანაც ახლოა.

ჩვენ შორს ვცხოვრობთ ერთმანეთისაგან, ჩვენ გვყოფენ დიდი სივრცეები და ოკეანეები, მაგრამ გვაახლოებს ის, რომ ბევრი საერთო მისწრაფება და გულის წადილი გვაქვს. ჩვენთვის გასაგები და მახლობელია თქვენი ბრძოლა ინდონეზიის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, მისი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. პოლიტიკურ თავისუფლებათა მონაპოვრის საიმედოდ განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვების გზით, მტკიცე სოციალური გარდაქმნების გზით, რამდენადაც კოლონიალიზმი მარტო პოლიტიკური დამონება როდია; იგი ნიშნავს აგრეთვე ეკონომიურ და სოციალურ ჩაგვრას. კოლონიალიზმის ფესვების აღმოფხვრა ეკონომიკაში, კოლონიალიზმის პოზიციების აღგვა სახალხო მეურნეობაში და საქმის წარმართვა აღმავლობის გზით, ამასთან ეროვნული ინტერესების გათვალისწინება — ასეთია ძნელი, მაგრამ გადაუდებელი საარსებო ამოცანა, რაც დგას ინდონეზიისა და სხვა ყოფილი კოლონიური ქვეყნების წინაშე, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

საბჭოთა ხალხი აფასებს და პატივს სცემს ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, რადგან მას თვითონ მოუხდა გადაეტანა მკაცრი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. მძიმე სისხლისმღვრელ ბრძოლებსა და შეტაკებებში გარეშე და შინაური მტრების ერთიანი ხელყოფის წინააღმდეგ მან დაიცვა ის უფლება, რომ თვითონ წყვეტდეს თავის ბედს, აშენებდეს ნათელ კომუნისტურ საზოგადოებას. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი სულით და გულით მზად არის გაუწიოს და უწევს აღმოსავლეთის ქვეყნებს არა მარტო მორალურ ან პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე წლითიწლობით მზარდ მატერიალურ დახმარებას. ამის ერთ-ერთი მაგალითია მეგობრული ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის. ეს თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება. ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე იმის შესაძლებლობანი, რომ გავადიდოთ ჩვენი ეკონომიური დახმარება სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი.

ამჟამად საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. ამ გეგმას რომ შევასრულებთ, ჩვენ 1965 წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ უშუალოდ მივუახლოვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო შემდეგ აუცილებლად გავუსწრებთ მათ. საბჭოთა ადამიანებმა ამოცანად დაისახეს უმოკლეს ისტორიულ ვადაში გამოვიდნენ პირველ ადგილზე მსოფლიოში აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. მაშინ საბჭოთა კავშირი გახდება ხალხის ცხოვრების ყველაზე მაღალი მატერიალური დონის ქვეყანა მსოფლიოში.

მეცნიერებისა და წარმოების ბევრ დარგში ჩვენ უკვე გავუსწორთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და არ ვაპირებთ დავთმოთ პირველობა. ჩვენი სამშობლოსათვის სიამაყით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ადამიანებმა პირველმა ააგეს ატომური ელექტროსადგური და პირველმა შექმნეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, გაუშვეს რაკეტა მზის გარშემო, მთვარეზე მიიტანეს თავიანთი რაკეტა, გაუშვეს საპლანეტათშორისო სადგური, რომელმაც შემოუარა მთვარეს და გადაიღო მისი იმ მხარის ფოტოსურათი, რომელიც დაფარულია ადამიანთა თვალისაგან.

ამას წინათ ჩვენ მოწმე ვიყავით საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ღირსშესანიშნავი წარმატებისა კოსმოსის ათვისებაში. წარმატებით გავუშვით და გამოვცადეთ მძლავრი რაკეტული სისტემა, რომელიც მზადდება მზის სისტემის პლანეტებისაკენ გასაფრენად და დედამიწის მძიმე თანამგზავრთა გასაშვებად. ახლა რეალურად მოგვიახლოვდა ადამიანის გაბედული ოცნების განხორციელება — მიიღოს დაწვრილებითი მონაცემები მთვარის, მარსის, ვენერისა და მზის სისტემის სხვა პლანეტების შესახებ.

მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება ჩვენსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ, ასე ვთქვათ, როგორც რბენა გრძელ დისტანციაზე. ჩვენს წინ ჯერ კიდევ მირბიან შეერთებული შტატები და ეს არც გასაკვირველია— ისინი ხომ უფრო ადრე დაადგნენ გზას. ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი მირბიან უკვე დიდი დაძაბვით, თითქოს ქოშინით. მათ უკვე ეწევა და მალე უკან მოიტოვებს ახალგაზრდა და ძლიერი მორბენალი — სოციალისტური საბჭოთა კავშირი!

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძლიერების ზრდა, რომელთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია მშვიდობა და ყველა ხალხის პატივისცემა, მათი ეროვნული დამოუკიდებლობის უფლების პატივისცემა, კეთილმყოფელ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარების განვითარებაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მხრივ. სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, რადგან ისინი შეძლებენ კიდევ უფრო მეტად დაეყრდნონ თავიანთი ყველაზე საიმედო და ერთგული მეგობრების მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობას საფუძვლად უდევს ჩვენი შეხედულებების ერთობა მთავარი საერთაშორისო პრობლემის — ხალხთა შორის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემის მიმართ. მხარდამხარ გამოდიან ჩვენი ქვეყნები აგრესიული ბლოკების წინააღმდეგ, იქნება ეს ნატო, სეატო თუ სენტო, რომელთა საქმიანობა დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა დედამიწაზე. ჩვენ ერთად გამოვდივართ და მოვითხოვთ კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციას, ერთად მოვითხოვთ ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვასა და მისი გამოცდის შეწყვეტას, ერთად მოვითხოვთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

ჩვენი მეგობრობა არავის არ ეშუქრება და არ არის მიმართული რომელიმე მესამე ქვეყნის წინააღმდეგ. „შეხედეთ, — თქვა ერთხელ პრეზიდენტმა სუკარნომ, — რა საუცხოოდ გამოიყურებიან ერთმანეთის გვერდით აღმართული ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ალმები. თუ პროგრესული ქვეყნების ყველა ალამი ერთად იფრიალებს და ყველა ქვეყანა ითანამშრომლებს ერთმანეთთან, მაშინ დაემხობა იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, მაშინ. ყველა ქვეყნის ხალხებს გახსნილი ექნებათ აყვავებისა და ბედნიერი ცხოვრების გზა“. შესანიშნავი სიტყვებია, რომლებსაც სავსებით ვუერთდები.

მეგობრებო!

ამ უკანასკნელ წლებში მშვიდობისმოყვარე ქვეყნების აქტიური მოღვაწეობის შედეგად მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება. მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა თავი დავიმშვიდოთ. არ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან გავლენიანი წრეები და ჯგუფები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათთვის პირდაპირ ხელსაყრელია საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნება და გაძლიერებაც კი. იმისათვის, რომ ჩავფუშოთ მშვიდობის მტრების დანაშაულებრივი გეგმები, საჭიროა შემდგომ განვამტკიცოთ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების ერთიანი ფრონტი. ამ ძალას ვერ გაუძლებენ „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების მომხრეები. ხალხთა ნება აღგვის ყველა დაბრკოლებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

ჩვენს დროში, ადამიანის შემოქმედებითი აზრის უდიდესი აყვავების ეპოქაში, როცა კულტურამ, მეცნიერებამ და ტექნიკამ უმაგალითო მწვერვალებს მიაღწიეს, მშვიდობა დედამიწაზე, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა თვით ცხოვრების მტკიცე მოთხოვნა გახდა.

მაგრამ ჩვენ ვერ მივაღწევთ ამ მიზანს, თუ დარჩა მდგომარეობა, როცა, როგორც ჩვენში იტყვიან, მეზობელი „ჩასაფრებულია“ მეზობლის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ დღეს უმნიშვნელოვანეს ამოცანად, ამოცანათა ამოცანად მიგვაჩნია დავამყაროთ ჩვენს დედამიწაზე მშვიდობა უარმიებოდ და უიარაღოდ. ჩვენ მოვუწოდებთ იმისაკენ, რომ ატომმაც კი მოიშოროს ჯარისკაცის ფორმა და გახდეს მშვიდობიანი მშრომელი.

1959 წლის სექტემბერში საბჭოთა მთავრობამ შეიტანა, როგორც ალბათ მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად წინადადება, რომელიც ითვალისწინებს მთელი შეიარაღებული ძალების დაშლასა და ყველა სახეობის შეიარაღების, მათ შორის ატომგულის და რაკეტული იარაღის მოსპობას. უფრო მეტიც, ჩვენ გადავდგით ცალმხრივი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით. ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. კანონის შესაბამისად საბჭოთა არმიის რიგებიდან დათხოვნილ იქნება 1 მილიონ 200 ათასი კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეიარაღებული ძალების უკვე მეოთხე შემცირებაა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ცალმხრივი წესით, დაწყებული 1955 წლიდან. მიმართავენ რა დასავლეთის ქვეყნებს, საბჭოთა ადამიანები ეუბნებიან მათ: მოდით შევთანხმდეთ განიარაღების შესახებ, მოდით გავაკეთოთ ყველაფერი, რათა არ დავუშვათ ომი, შევეჯიბროთ ერთმანეთს არა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების გადიდებაში, არამედ მათ შემცირებაში და ომის წარმოების საშუალებათა ლიკვიდაციაში.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მთავრობის ამ მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯებს არა მარტო მხურვალედ უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები, არამედ ისინი დადებითად შეაფასა დასავლთის ქვეყნების ბევრმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ. ჩვენ გვახარებს, რომ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან ღონისძიებებს ფართოდ უჭერს მხარს აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა. ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, რომ ამ ღონისძიებებს მხარი დაუჭირეს ინდონეზიის რესპუბლიკის ხალხმა და მთავრობამ.

ძვირფასო მეგობრებო! დასასრულ მე მინდა გამოვთქვა რამდენიმე სურვილი. ჩვენ უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. საჭიროა ნაკლებ გვჯერდეს ის მონაჭორი და ხშირად აშკარა სიყალბე, რასაც ჩვენზე და თქვენზე ამბობენ წარმომადგენლები მესამე სახელმწიფოებისა, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობით. ჩვენი მეგობრობა ხომ ზოგ ვინმეს თვალში ეკალივით ესობა. მოდით განვამტკიცოთ ჩვენი ძმური ურთიერთობა. უფრო ხშირად უნდა მივდიოდეთ ერთმანეთთან, თვითონ ვაკვირდებოდეთ ცხოვრებას, საკუთარი თვალით ვხედავდეთ და ვაფასებდეთ ყველაფერს. დაე თქვენი წარმომადგენლები უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან. ხოლო საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები უფრო ხშირად იყონ თქვენთან. რაც უფრო ხშირად ჩამოვლენ ჩვენში თქვენი მეცნიერები, ინჟინრები და მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და გლეხები, კულტურის მოღვაწეები, ხოლო საბჭოთა ადამიანები უფრო ხშირად ჩამოვლენ ინდონეზიაში, მით უფრო გამდიდრდება ჩვენი ურთიერთგამოცდილება.

ყველა ხალხი, დამოუკიდებლად კანის ფერის, სარწმუნოების, იმ ადგილისა, სადაც ისინი ცხოვრობენ, უკეთ უნდა იცნობდნენ ერთმანეთს, ურთიერთ იყენებდნენ შეძენილ გამოცდილებას. ყველა ხალხს სურს კარგი და ბედნიერი ცხოვრება, სურს მშვიდობა. თუ მათი ღონისძიებანი სულ უფრო გაერთიანდებიან, კაცობრიობას შეუძლია ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის სწრაფი განვითარების ჩვენს დროში უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა და ბედნიერება დედამიწაზე.

თქვენ ძლიერ კარგად იღებთ ჩვენს დელეგაციას. ჩვენი გული ხარობს, როცა ვხედავთ ასეულათასობით ადამიანს, რომლებიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა შესახვედრად გამოდიან. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თვითეულ თქვენს დელეგაციას, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვა, აგრეთვე გულთბილად მიიღებენ. ჩვენ ყველაფერს ვაჩვენებთ თქვენს წარმომადგენლებს, ყველაფერს, რაც მათ აინტერესებთ, ვაჩვენებთ, როგორც ძმებს, არაფერს არ დავუმალავთ და არაფერს არ მოვახვევთ თავს. როცა ისინი ჩვენში ჩამოვლენ, ბევრ რამეს ნახავენ და შეიტყობენ. საბჭოთა ქვეყანა შედგება 15 თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკისაგან. ამ რესპუბლიკებში, რომლებიც განსხვავდებიან ჰავით, ეროვნული ჩვევებით და თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრით, ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობს ასზე მეტი ეროვნება. აიღეთ ისინი, ვინც თქვენში ჩამოვიდა ჩემთან ერთად. კულტურის მინისტრი მიხაილოვი, ეკონომიური ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სკაჩკოვი და ბევრი სხვა ამხანაგი რუსები არიან. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო ბელორუსია; საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ყუკოვი უკრაინელია; აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი თაიროვა აზერბაიჯანელია; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ულჯაბაევი ტაჯიკია. თანმხლებთა შორის არიან ქართველები, სომხები და სხვა ხალხთა წარმომადგენლები. თვითეული ჩვენი ხალხისაგან შეიძლება ბევრი რამ ისწავლო. და თვითეული ხალხი ხალისით გაუზიარებს მეგობრებს თავის გამოცდილებას, ჩვენი ადამიანები სიამოვნებით ისწავლიან თქვენგან და სხვა ხალხებისაგან.

ყველა ხალხისათვის ყველაზე მთავარია მშვიდობისათვის ბრძოლა, მათი საერთო სურვილია არ დაუშვან ომის წარმოშობა, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ადამიანებმა სულ უფრო უკეთ იცხოვრონ.

ძვირფასო მეგობრებო! ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ მეგობრობა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხებს აერთიანებს, დღითიდღე სულ უფრო მჭიდრო და მტკიცე გახდება.

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ერთიანი და ძლიერი ინდონეზიის რესპუბლიკა!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობას!

მტკიცე მშვიდობისათვის დედამიწაზე, ყველა ხალხის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის!

(ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ არაერთგზის გამოიწვია მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. გამოსვლის დამთავრების შემდეგ გაისმის მჭუხარე ოვაცია, შეძახილები „ჰიდუპ ხრუშჩოვ!“ — „გაუმარჯოს ხრუშჩოვს!“ „ვაშა!“).

შემდეგ მიკროფონთან მიდის პრეზიდენტი სუკარნო და ამბობს სიტყვას, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით და მისალმების შეძახილებით. პრეზიდენტი სუკარნო მადლობას უხდის სურაბაიის მცხოვრებლებს გულთბილი შეხვედრისათვის, რაც მათ მოუწყეს ინდონეზიის რესპუბლიკისა და მისი ხალხის სახელმწიფო სტუმარს ხრუშჩოვს. ტაშის გრიალში პრეზიდენტი სუკარნო აცხადებს, რომ ინდონეზიის ხალხსა და მთავრობას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აწარმოონ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო ძმურად ართმევენ ხელს ერთმანეთს და მიესალმებიან ტრიბუნიდან მიტინგზე შეკრებილ ხალხს.

მიტინგი დამთავრებულია. ზეიმოვნად ყღერს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. ხრუშჩოვის შეხვედრა სურაბაიაში და მიტინგი ტამბაქსარის სტადიონზე გადაიქცა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

თბილისის სტუმრები

გუშინ, 23 თებერვალს ნაშუადღევს ტაშკენტიდან თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის სპარლამენტო ჯგუფის მოწვევით. ჯგუფში შედიან ჟაკ შაბან-დელმასი — ეროვნული კრების თავმჯდომარე, ჟან მონტალა, ეჟენ კლოდიუს-პეტი, ედუარდ ფრედერიკ-დიუპონი — ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარეები, ნოელ ბარო, ედმონ ბრიკუ, მიშელ ეკაე, ალფრედ კლერეტი, კაზვიე სალადო — დეპუტატები.

ფრანგ პარლამენტარებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. კაიროვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ვ. სტეფანიკი, რომლებიც თან ახლავან ფრანგ პარლამენტარებს ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე რ. რ. დვალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ბ. აბაშიძე, ს. ვ. სტეფანიკი, შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. გ. ვეფხვაძე, გ. ა. ჯაბუა, ბ. ა. ჩხეიძე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატების

23 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფი, რომელსაც ჟაკ შაბან-დელმასი მეთაურობს.

გ. ს. ძოწენიძე მიესალმა ფრანგ სტუმრებს და აღნიშნა, რომ საქართველო გულითადად ეგებება ფრანგ პარლამენტარებს.

საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჟაკ შაბან-დელმასმა თქვა: ფრანგი დეპუტატები მოხარული არიან, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში, რომელსაც კარგად იცნობს ფრანგი ხალხი.

საუბრის დროს გ. ს. ძოწენიძემ უამბო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატებს რესპუბლიკის წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რაც მოპოვებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ოცდაცხრამეტი წლის მანძილზე, უპასუხა სტუმართა კითხვებზე.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. კაიროვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე რ. რ. დვალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ბ. აბაშიძე, ს. ვ. სტეფანიკი, შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. გ. ვეფხვაძე, გ. ა. ჯაბუა, ბ. ა. ჩხეიძე. (საქდესი).

დიდი ეროვნული დღესასწაული

25 თებერვალი! რაოდენ ბევრის მთქმელია ეს სიტყვები ქართველისათვის! ამ დღემ — 1921 წლის 25 თებერვალმა მოუტანა ქართველ ხალხს თავისუფლება, ამ დღეს დაიწყო მისი ისტორიის ახალი ერა — აღორძინების, განვითარებისა და აყვავების ერა.

საქართველო მრავალი საუკუნის მანძილზე ავითარებდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, ქმნიდა და ამდიდრებდა ეროვნულ კულტურას, ამყარებდა საქმიან ურთიერთობას მეზობელი და სხვა ქვეყნების ხალხებთან. მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიული ბედი ისეთი იყო, რომ მთელი თავისი არსებობის მანძილზე იძულებული ხდებოდა მახვილით დაეცვა სხვადასხვა დამპყრობთა თავდასხმებისაგან. ეს შემოქმედებითი შრომა, თავისი დამოუკიდებლობა.

დამპყრობთა წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში ილაჯგაწყვეტილმა საქართველომ შეძლო ბოლოს ისეთი დამბმარე ძალისა და მოკავშირის პოვნა, რომელმაც გადაარჩინა ის ფიზიკურ მოსპობას. გასული საუკუნის დამდეგს ქართველმა ხალხმა საბოლოოდ შეუკავშირა თავისი ბედი რუს ხალხს. და მას შემდეგ შესაძლებლობა მოიპოვა რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობის, რუსეთის მუშათა კლასის მხარდამხარ ეწარმოებინა ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის.

რუსეთის მუშათა კლასის გიგანტური ბრძოლის შედეგად, რაშიც ღირსეული წვლილი შეჰქონდა ქართველ მშრომელ ხალხს, დაემხო დრომოჭმული ცარიზმი. რევოლუციის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე მენშევიკებმა შეძლეს საქართველო დროებით მოეწყვიტათ რუსეთისაგან, მაგრამ ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით განდევნა ისინი და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა საქართველომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში თავისი არსებობის 39 წლის მანძილზე მოიპოვა ისეთი გრანდიოზული წარმატებები, როგორიც მას არასოდეს არ ჰქონია და როგორიც არ შეიძლებოდა ჰქონოდა ან ჰქონოდეს რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ქვეყანა, სადაც წინათ შინამრეწველურად აკეთებდნენ ნამგლებსა და ცულებს, ფარდაგებსა და ნაბდებს, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა რესპუბლიკად, რომელიც კამეჩისა და ცხენის ურმების ნაცვლად აწარმოებს მძლავრ სამგზგისტარალო ელექტრომავლებსა და ავტომანქანებს, ბარისა და თოხის ნაცვლად — ურთულეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებსა და ხელსაწყოებს, შალეულს, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს, ფეხსაცმელსა და მზატანსაცმელს; ნავთის ლამპები „ილიჩის“ ელექტრონათურებმა შეცვალა, აშენდა მრავალი ჰიდროელექტროსადგური და თბოელექტროსადგური. ჩვენი რესპუბლიკა იქცა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის რესპუბლიკად, მოწინავე სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის რესპუბლიკად.

აი რა მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს! აი რა შექმნა ქართველმა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება შარშან რესპუბლიკაში 1913 წლთან შედარებით 35-ჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო ომამდელ, 1940 წელთან შედარებით 3,7-ჯერ. ახლა ჩვენი რესპუბლიკა ყოველ ცხრა დღეში იღებს იმდენ ქვანახშირს, რამდენიც ამოღებული იყო მთელ 1913 წელს, ყოველ სამ დღეში გამოიმუშავებს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენიც გამომუშავებული იყო მთელ 1913 წელს. ასეთივე ზრდაა მრეწველობის ყველა დარგში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა რესპუბლიკის მრეწველობამ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. აშენდა თითქმის ასი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის გუმათისა და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურები, ახალი შახტები, ჩაის ფაბრიკები, საკონდიტრო, ღვინის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსამშენებლო და სხვა ქარხნები და ფაბრიკები. 1957-59 წლებში მანქანათსამშენებლო მრეწველობის პროდუქციის გამოშვების წლიურმა ზრდამ 22 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 1950-1955 წლების 5-8 პროცენტისა. მარტო 1959 წელს კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ რესპუბლიკაში შეადგინა 2.340 მილიონი მანეთი.

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

შარშან რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 103,4 პროცენტით, და ქვეყანას მისცეს ასეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1959 წელს შესრულდა 106 პროცენტით, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე 1958 წელს. კერძოდ, თუჯის გამოდნობის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, ფოლადისა — 100,6 პროცენტით, ნაგლინის წარმოებისა — 104 პროცენტით. წარმატებით დაიწყეს რუსთავის მეტალურგებმა მიმდინარე წელიც: მათ ვადამდე შეასრულეს ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების იანვრის დავალება.

თუ რაოდენ განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ელექტროენერგიის წარმოება, ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო რიონჰესის სიმძლავრე ექვსჯერ აღემატება 1913 წელს არსებული ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს, ხოლო ისეთი ელექტროსადგური, როგორიც რიონჰესია, ახლა საქართველოში არაერთია.

უკანასკნელი წლების მანძილზე ფართოდ განვითარდა ელექტრომრეწველობა, აშენდა ათობით ახალი საწარმო, რომლებიც უშვებენ 29 ძირითადი სახეობის პროდუქციას, მათ შორის ავტომატურ ელექტროგამმართველებს, სარეცხ მანქანებს, ავტომაწყებსა და მრავალ სხვას როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების მრეწველობისა და სახალხო მოხმარების საჭიროებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და ქ. რუსთავის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გასულ წელს დამთავრებული უარაფელ-თბილისის გაზსადენის — ენერგიის ახალი მძლავრი წყაროს — მშენებლობა. გაზის დენერგვა ყოველწლიურად მოგვცემს ასობით მილიონ მანეთ ეკონომიას, რაც თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს მრეწველობასა და მოსახლეობას სათბობით და მკვეთრად გააუმჯობესებს რუსთავისა და თბილისის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

რესპუბლიკის მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის მრავალი სახეობის პროდუქცია, რომლის გამოშვებაც წლითიწლობით იზრდება, ცნობილია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც.

გასულ წელს რესპუბლიკის საწარმოებმა გამოუშვეს 52 მილიონი მეტრი ბამბეული, მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მას სრულიად არ აწარმოებდნენ. შალეული გამოშვებულია 5 მილიონი მეტრი, ნაცვლად 120,6 ათასი მეტრისა, ხოლო აბრეშუმის ქსოვილები შესაბამისად — 20 მილიონი მეტრი ნაცვლად 1927-28 წლების 60 ათასი მეტრისა.

საქართველოს სს რესპუბლიკა წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე 2,5 წყვილ ფეხსაცმელს ამზადებს, მაშინ როცა 1927-28 წლებში მზადდებოდა 1 წყვილი ფეხსაცმელი ყოველ 13 მოსახლეზე.

ამჟამად ყოველწლიურად მზადდება 9 მილიონი წყვილი წინდა, 2.200-ზე მეტი პიანინო, 6 მილიონი დეკალტრი ღვინო, 6 მილიონი ბოთლი შამპანური, 34 ათასი ტონა ბიბანო ჩაი, 26 ათასი ტონა ხორცი, 14 ათასი ტონა მარგარინის ნაწარმი, 85 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 12 ათასი ტონა მაკარონის ნაწარმი, 23 ათასი ტონა შაქარი, 14 მილიარდი ცალი პაპიროსი და მრავალი სხვა პროდუქცია.

გასულ წელს რვა ათასზე მეტმა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა 14 ათასზე მეტი წინადადება შეიტანა. სახალხო მეურნეობაში დანერგილია 6.000-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთა რეალიზაციამაც მოგვცა 50 მილიონ მანეთზე მეტი წლიური ეკონომია.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1959 წელს 1958 წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის შემდგომი განვითარების დიდი პერსპექტივებია დასახული შვიდწლედში. ამ წლებში განსაკუთრებით გაფართოვდება ჩაის, ვენახების, ციტრუსების, ხეხილის, თამბაქოს და სხვა ძვირფასი კულტურების ფართობები და გადიდდება მათი მოსავლიანობა, მაგალითად, ხილის მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს 1,8-ჯერ, ყურძნისა 2,2-ჯერ, ჩაისა — 200 ათას ტონამდე, ხორცის წარმოება თითქმის 2-ჯერ, რძისა თითქმის 2,5-ჯერ, ბალები და ვენახები უნდა გაშენდეს 78 ათას ჰექტარ ფართობზე.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობამ შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები და დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა. ყრილობამ დაავალა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს უზრუნველყონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, ყველა საწარმოს და მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ სახელმწიფო გეგმების უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება.

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ საყოველთაოდ იყო ცნობილი, თუ რაოდენ მაღალია ქართული კულტურა. ქართველ ხალხს ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპისა და აზიის მოწინავე ქვეყნებთან. უზრუნველყოფდა კულტურულ მიღწევათა ურთიერთგაზიარებას. თვითონ ქმნიდა ხელოვნებისა და ლიტერატურის შედევრებს. დღემდე დაცულია ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის, მხატვრობისა და ქანდაკების ძეგლები, რომლებიც მოწმობენ ქართველი ხალხის მაღალ კულტურას. მაგრამ ნამდვილ განვითარებას, ნამდვილ აყვავებას ქართულმა ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია.

ახლა უკვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი რესპუბლიკა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკაა. ეს დიდი ხანია საყოველთაოდ ცნობილია. და მართლაც, ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის საშუალო და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 815 კაცი, უმაღლესი განთლების მქონე 38 კაცი, 3 ექიმი, თითქმის 15 მასწავლებელი, ორასამდე მოსწავლე და სტუდენტი, რომ რესპუბლიკაში არის მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 150-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 4.200-ზე მეტი სკოლა, ოცამდე უმაღლესი სასწავლებელი, ასზე მეტი ტექნიკუმი, ორი ათასამდე საკლუბო დაწესებულება, სამი ათასამდე ბიბლიოთეკა, მრავალი ასეული კინოთეატრი, თეატრები, მუზეუმები და ბევრი სხვა კულტურული დაწესებულება, — ნათლად მიგვაჩნევენს მისი კულტურის მაღალ დონეზე.

გასულ წიოს რესპუბლიკის მეცნიერებმა საჩოქრად მიიღეს ახალი მძლაური იზოტოპური ბაზა — მწყობრში ჩადგა ატომური რეაქტორი, რომელიც ბევრ დიდ და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანასაც კი არ გააჩნია. რეაქტორის ამოშვებამ საშუალება მისცა ჩვენი რესპუბლიკის, აგრეთვე მომმე სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებს დაამუშაონ და გადაწყვეტონ მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებასთან.

ქართველ მეცნიერებს თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. ფართოდ ცნობილია მრავალი გამოჩენილი მათემატიკოსისა და ფიზიოლოგის, გეოლოგისა და ფიზიკოსის, ქიმიკოსისა და ისტორიოსის, ენათმეცნიერისა და მრავალი სხვა დარგის სპეციალისტის ნაშრომები.

მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხებმა აღიარეს ქართველ მწერალთა, პოეტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, რეჟისორთა და ხელოვნების სხვა წარმომადგენლთა მიღწევები. საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალ ხალხთა ინაზეა თარგმნილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინოთეატრებში წარმატებით უჩვენებენ ქართულ კინოთიხმობს, მრავალი თეატრის სცენიდან გაისმის ქართველ კომპოზიტორთა მელოდიები. საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღფრთოვანებით უყურიან ტაშს ქართველ მოცეკვავეებს, მომღერლებს და მუსიკოსებს.

ფართოდ განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლეობის კანმრთელობის დაცვის საქმე. სრულიად მოისპო მალარია, რომელიც მუსრს ავლებდა ხალხს, შემცირდა სხვა ეპიდემიურ დაავადებათა რაოდენობა. საგრძნობლად გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა.

საქართველო, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, დაიფარა სამკურნალო დაწესებულებების ფართო ქსელით. მოსახლეობის კანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება თორმეტი ათასზე მეტი ექიმი, საშუალო სამედიცინო კადრების მქონე რამდენიმე ათეული ათასი კაცი. ყოველ ათას სულ მოსახლეზე ექიმების რაოდენობის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ საქართველოს შესანიშნავ კურორტებს, ლამაზ ბუნებას, საუკეთესო სამკურნალო თვისებების მქონე წიწვიან და ფოთლოვან ტყეებს, მინერალურ წყაროებს, თბილ, ზომიერ ჰავას, მშვენიერ პლაჟს, რომლებიც მკურნალობისა და დასვენების ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. მაგრამ ხალხის სამსახურში მათი ჩაყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1913 წლისათვის საქართველოში სულ 5 სანატორიუმი იყო, ამჟამად კი რესპუბლიკის კურორტებზე 88 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 20 პანსიონატია, სადაც ყოველწლიურად მრავალი ათეული ათასი მშრომელი მკურნალობს და ისვენებს.

ქართველი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს ეგებება ისე ძლიერი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა. ის აღფრთოვანებით, მთელი ძალღონით იღვწის შვიდწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ხელმარდი ქალიშვილი

რამდენიმე წელიწადია, რაც საქართველოს მსუბუქ მრეწველობას შეემატა გორის ბამბეულის კომბინატი. ამ საწარმოს პროდუქციამ ფართო პოპულარობა ჰპოვა და დიდი მოწონება დაიმსახურა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მუშები ერთ-ერთი პირველნი გაჟოეხმაურნენ ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას. მას შემდეგ ბევრი ახალგაზრდა მუშა სიმწიფის ატესტატით პირდაპირ წარმოებაში მოვიდა.

ამ ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ძოწინავეა მეფთილე იზოლდა ჭილაური. ცქრიალა გოგონამ მუყაითი შრომით, თავმდაბლობით ყველას თავი შეაყვარა, ყველასათვის საქებარი გახდა. იგი კომკავშირში მიიღეს და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სურათზე: იზოლდა ჭილაური.

საბოლოოს უპასუხაკებენ

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა ვადამდე დიდი ხნით ადრე — 19 თებერვლისათვის გადაჰარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, რძისა — 138 პროცენტით, ხოლო, კვერცხისა — 103 პროცენტით.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმოა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. აქ დამზადებული სერიული სახარატო ჩარხები და ლითონდამამუშავებელი სპეციალური ჩარხები იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კიროველებს არაერთი მადლობა მიუღიათ უცხოეთის იმ ქვეყნებიდან, სადაც მათ მიერ დამზადებული ჩარხები იგზავნება. საქართველოში დამზადებული ჩარხები საზღვარგარეთ იმდენად პოპულარული გახდა, რომ ამჟამად ქარხანას სპეციალური დაკვეთებიც აქვს.

საწარმოს კოლექტივი ძალღონით აღსავსე შევიდა შვიდწლედის მეორე წელში. ქარხნის ბევრი მოწინავე ადამიანი უკვე 1962-63 წლის ანგარიშში მუშაობს. განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა თებერვალში, ბრიგადები და ცალკეული ოსტატები, დადგნენ რა ლენინურ შრომითს ეახტზე, ყოველდღიურ დავალებს 200-250 პროცენტით ანაღდებენ. მოწინავე ადამიანთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ამწყობი ზეინალი შ. ფირცხალავა, რომელიც უწყნოდ მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ანაღდებს.

* * *

მის ნახელავს წუნს ვერ დასდებ

სურათზე: შ. ფირცხალავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ფოსტიდან

◆ **პარტიის ცხაკაიას რაიკომის** პოლიტიკური განათლების კაბინეტში, სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მიეძღვნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბუკლეტები. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში იმართება ლექციათა-მოხსენებები, საუბრები დიდი გელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ხ. კუჭავა.

◆ **სოფელ ნორიოს (აბაშის რაიონი)** სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება. კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს 800 ჰექტარზე დათესონ სიმინდი, აქედან 400 ჰექტარზე მეტი უკვე მოხნულია მზრალად.

ბ. ბვაზავა.

◆ **სამტრედიელმა მშრომელებმა** კარგი საჩუქარი მიიღეს, აქ გაიხსნა 400-ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი „სამტრედია“.

შ. მაღლაკელიძე.

◆ **ქუთაისის 26-ე შვიდწლიანი სკოლის** მოსწავლეებმა ვ. კვატაშიძემ, ი. ახალაძემ, ზ. ძნელაძემ, ვ. ქათამაძემ და სხვებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები სკოლის მახლობლად სახლში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად. ენერგიული მოქმედებით სკოლის შენობა იხსნეს ხანძრის საფრთხისაგან.

ა. თუთაშვილი.

◆ **სოხუმში საბჭოთა საქართველოს 39-ე წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო ქართული ფილმების ფესტივალი.** კინოთეატრებში „აფონში“, „ოქტომბერში“, „რუსთაველში“, „სოხუმში“ უჩვენებენ ქართულ კინოსურათებს — „გორგრა საკაძეს“, „ჭრიჭინას“, „ბაში-აჩუკს“, „არსენას“, და სხვ.

ნ. მიქაშავიძე.

◆ **ფოთის სახელმწიფო თეატრმა** მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა მ. კიკვაძის ისტორიული დრამა „დიმიტრი თავდადებული“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია გ. სებისკვერიძე, მხატვარი გ. მილორავა. მთავარი როლები შეასრულეს ტ. თალოვაძემ, ე. ლომმამ, პ. დობორჯგინიძემ, ბ. ქუთათელაძემ, ა. მშვენიერაძემ და სხვ.

მ. გოგოლაშვილი.

წარწერით — „მეგობარი ინდონეზიისათვის“

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აზიის ქვეყნებში მოგზაურობს, რუსთავის მექანიკურმა ქარხანამ მიიღო მორიგი დაკვეთა. მეგობარი ინდონეზია ქართველ მექანიზატორებს სთხოვს დაუმზადონ ცხავები, რომლებიც საჭიროა ფხვიერი მასალის დასახარისხებლად.

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის ქარხნის, აგრეთვე ნავთსაწმენდი, გემთსამშენებელო და სხვა საწარმოთა მშენებლობა. ამ ობიექტებისათვის აუცილებელია სამშენებლო მექანიზმები, და აი რუსთავის მექანიზატორებმა დროულად და მაღალხარისხოვნად დაამზადეს ასეთი სახის მანქანები.

ამ დღეებში იგი წარწერით — „მეგობარი ინდონეზიისათვის“ ჯაკარტაში გაიგზავნა.

ძვირფასი საჩუქარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). მე-6 საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა დიდ ლენინის დაბადების 90-ე წლისთავისადმი ეროვნული ერთიერთობა დაამყარეს ქ. ულიანოვსკის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან. ქუთაისელმა მოსწავლეებმა ულიანოვსკელი მეგობრებისაგან მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი და დიდი ლენინის სახელთან დაკავშირებული ულიანოვსკის ისტორიული ადგილების ამსახველი ფოტოსურათები.

სკოლაში მოეწყო პიონერთა რაზმების შეკრება, რომელიც დიდი ბელადის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. შეკრებაზე რაზმეულის სალაბიო წევრად ეიღლა ამავე სკოლის ლენინის ორდენიანი მასწავლებელი თ. ლოლოკიფაშვილი. მოსწავლეებმა მოაწყეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდები.

კუდუხარის უნივერსიტეტი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ. შეიქმნა კულტურის უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს სამი ფაკულტეტი — ექიმ-ტერაპევტი, ტექნიკისა და ხელოვნების, სოფლის მეურნეობისა.

უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავენ ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები, სპეციალისტები.

ლექციებთან ერთად ნახავენ ფილმებს სპექტაკლებიდან, კინოფილმები.

მეფრინველეთა ქალაქი

ორი წლის წინათ მეფრინველეობა ტყიბულის რაიონში ყველაზე ჩამორჩენილი და თავმინებებული დარგი იყო. ოცდახუთ კოლმეურნეობას მხოლოდ 4.600 ფრთა ქათამი ჰყავდა. თვითეულ დედალზე მთელი წლის განმავლობაში საშუალოდ 30-40 კვერცხი მოდიოდა. კოლმეურნეობები სანაზვერადაც ვერ ანაზღაურებდნენ ფრინველის შენახვაზე გაწეულ ხარჯებსა და შრომას.

აუცილებელი იყო ქმედითი ღონისძიებების დასახვა. საქმე მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის შენებლობით დაიწყო. ფრინველისათვის ახალი და ფართო კორპუსები ააგეს. კოლმეურნეობებს მხარში ამოუდგნენ რაიონის საწარმო-დაწესებულებები. ეს ობიექტი საყოველთაო-სახალხო მშენებლობად გამოცხადდა. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ფერმის მშენებლებს დიდი რაოდენობით გამოუყო საშენი მასალები — კირი, ხე-ტყე და სხვ.

ფერმის ტერიტორიაზე წყალსადენის ტრასის მშენებლობის სამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულეს ძიროვნელმა კოლმეურნეებმა. ნაყოფიერად იმუშავეს ახალსოფელმა კოლმეურნეებმაც. მათ ფერმის აღმოსავლეთის მხარეს გააშენეს ექვსი რიგი ქარსაფარი ზოლი ნახევარ კილომეტრზე. სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში „ტყიბულის ზღვის“ სანაპიროზე, ახალსოფლის მახლობლად შეიქმნა „მეფრინველეთა ქალაქი“.

1959 წლის მაისის დასაწყისში ფერმაში ათასობით წიწილა მოიყვანეს. უამრავი საზრუნავი გაუჩნდათ მეფრინველეებს. ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დამთავრებული კორპუსების კეთილმოწყობა, არ ‘ მაროდა მომგვლელთა მაღალკვალიფიციური კადრები. რაც მთავარი, არ ჰქონდათ გამოცდილება. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მეფრინველეებმა 3 ათასამდე ქათამი და 4.600 იხვი გაზარდეს.

საკოლმეურნეობათაშორისო ფერმამ არა მარტო პირნათლად მოიხადა თავის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, არამედ საკოლმეურნეო ბაზარზე უკვე გაყიდა 17 ტონა ფრინველის ხორცი და 50 ათასი ცალი კვერცხი. პროდუქციის რეალიზაციით ფერმამ ნახევარ მილიონ მანეთამდე შემოსავალი მიიღო. ასე დაიწყო ჩამორჩენილს თავი მეფრინველეობის დარგმა.

რაც შარშან გაკეთდა, ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. მეფრინველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება. ახლა ფერმაში 6.000 კვერცხმდებელი ქათამი ჰყავთ. ისინი ზამთრის პერიოდში დიდი რაოდენობით იძლევიან კვერცხს. სულ მალე აქ საკონსერვატორიოდ გადასცემენ ინკუბატორს. ეს ეგი მთლიანად დააკმაყოფილებს ფერმის მოთხოვნილებას წიწილებზე.

შვიდწლედის დასასრულისათვის ახალ-სოფლის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმას 100 ათასზე მეტი ფრთა ფრინველი ეყოლება. მეფრინველეობა ტყიბულის რაიონს დიდ შემოსავალს მისცემს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სადაც რიონი ჰქუხს...

...ბიდიკრის პიტალო კლდეებს გასცდებით თუ არა, მჭეხარე რიონის ნაპირ თვალწინ გადაგეშლება შორეულ სოფლის მიმზიდველი სურათი: ორ-ულიანი ოდები, ზვრები, შუაში — ...ო საავტომობილო გზა, ელექტრო-...ის მაღალი სვეტები...

...ური მკვიდრი ბერიკაცი ნესტორ ...შვილი გუშინდელივით იგონებს ...ოცდაშვიდი წლის წინანდელ დაუვი-... ამბავს... ეტლმა ხიდიკრის ვიწრო-...ლტოვა, ორღობეებს გასცდა და ...ონის ნანგრევებთან შეჩერდა. დიდი ...ანი აკაკი ღიმილით გადმოვიდა ეტ-...ან, მიმოიხედა, თვალი შეავლო ...ღობებზე გაბნეულ სახლებს და ...

...ლამაზია სოფელი წესი.

...დამ ლამაზი იყო ეს სოფელი, მაგ-... სასიხარულო არაფერი ჰქონდა ...ბაწყვეტილ გლეხს. ალალი შრომა ...ოდ კაცობრიობის გაზაფხულის — ...ი ოქტომბრის შემდეგ დაფასდა, სი-...ელი და ბედნიერება დამკვიდრდა ...ში.

...ელაფერი, რაც კი ამ ბარაქიან მი-... იქმნება, მშვიდობას, სიუხვეს, საბ-... ადამიანის კეთილდღეობას, მის ...ელ მომავალს ემსახურება. დიდი ...ელიშვილო საქმეები კეთდება შო-... მთის პატარა სოფელში.

...ალი სიძნელე გადალახეს წესელე-... და მილიონერი კოლმეურნეობა შექ-... მიღწეულით როდი ყოყოჩობენ, ...თიღღე ამრავლებენ წარმატებებს. ...ანშან წესელებმა დედა-სამშობლოს ...ის გადამეტებით ჩაბარეს ყურძე-... ხორცი, რძე, აბრეშუმი, თაფლი, ხი-...

...თეთრად ქათქათებდა მიდამოები, ზვა-... ენახეთ მევენახეობის მოწინავე ...ოგადოს ხელმძღვანელი კომუნისტი ...ორგი ნატმელაძე.

— დიდი თოვლი კარგი მოსავლის ნი-...ნაა, — გვითხრა მან და ლერწს ხე-... მოკრძალებით შეახო, დაბერტყა. მე-...ნაა არ მოტეხოსო. თვითეული ვაზის ... და კარგი იცის, ზამთარ-ზაფხულს ...ნახში ტრიალებს. დაუცხრომელ შრო-... შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. ნატმე-...ძის ბრიგადამ მთელ რაიონში გაითქ-... სახელი, შარშან ჰექტარზე 106 ცენტ-...რი ყურძენი — ალექსანდრეული და ...ბული თეთრა მიიღო.

...დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილე-...ს პასუხად გ. ნატმელაძის ბრიგადამ ...ს ჰექტარზე 110 ცენტნერი ყურძნის ...ება იკისრა.

...ყურძნის სიუხვისათვის ბრძოლაში ...ელი გაითქვეს მევენახეებმა ბაბალი-... მელაშვილმა, შოთა მაისაშვილმა, გი-... მელაშვილმა, რაოდენ გამყრელიძემ... წესელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტი-...ი არავის დაუთმონ პარტიის ამბროლა-...ურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმას-...ომის გარდამავალი წითელი დროშა, ...ომელიც მას უკვე ექვსი წელია ხელთ ...ყრია.

...ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი ...ურძენი, — ასეთია წესელების მტკიცე ...ადაწყვეტილება. შვიდწლედის მეორე ...ელის შემოდგომაც ბარაქიანი, უხვი ექ-...ებათ. ამ გამარჯვების საძირკველს ზამ-...ურის დღეებშივე ჩეიდენ.

2. პირდაპირ გაჩირაღდნებულ სახლ-...თან მიაჭენა ცხენი.

— ექიმი შინ არის? — იკითხა ცხენო-...ანმა და მათრახის ტარით სვანური ქუ-...ი უკან გადაიწია.

— ახლახან წავიდა... იყო დიასახ-...ლისის პასუხი.

ცხენოსანი კვლავ შარაგზას გაჰყვა, ...ოფლის ცენტრში, ილიჩის ლამპიონე-ბით გაკაშკაშებული კულტურის სახლის წინ შეჩერდა. მეზობლებთან მიმოიკითხა. მოძებნეს საჭირო ექიმი.

— წავიდეთ, ვნახოთ, სანაქებო უშობელი უხალისოდ არის, — თქვა ფერმის გამგემ უჩა გამყრელიძემ. ათ წუთში ყველანი უშობლისკენ გაეშურნენ.

მეცხოველეობის აღმავლობის — ამ დიდი სახალხო საქმის სიყვარული თვითეული წესელის ძვალრბილშია გამჯდარი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ შარშან აქ 2,6-ჯერ გადიდდა სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება. თვითეულ საფურაქე ძროხაზე წინა წელთან შედარებით გეგმის გადამეტებით მიღებულ იქნა 200 ლიტრი რძე.

ზამთრის დღეებში სულ ფერმებში ტრიალებს კოლმეურნეობის ახალგაზრდა ნიჭიერი ხელმძღვანელი როსტომ ნატმელაძე, რომელიც საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის მუშაობაშიც იღებდა მონაწილეობას.

— ჩვენ არ გავტეხთ სიტყვას, ვიკისრეთ წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღოთ ორი ათასი ლიტრი რძე, და შევასრულებთ კიდეც, — ამბობს როსტომი.

კოლმეურნეობამ მიაღწია იმას, რომ იანვარ-თებერვალში ყოველდღიურად ასრულებს წველადობის გეგმას. ეს, ცხადია, პირველ რიგში პირუტყვის სანიმუშო მოვლა-პატრონობით, საკვების სიუხვით გახდა შესაძლებელი.

მოწინავეთა შორის სახელი გაითქვა საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულმა ახალგაზრდამ აბელ გოგობერიშვილმა. ახლა სოფელში, მკაცრი ზამთრის მიუხედავად, ვერ ნახავთ ცუდად მოვლილ ძროხას! ყველა კარგად გამოიყურება. ეს ცხადია, მწველავი მწყემსის ა. გოგობერიშვილის თავდადებული შრომის შედეგია.

— მე სიხარულით გავეცანი, — ამბობს იგი, — გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც რიაზანელ მეგობართა მდიდარ გამოცდილებაზე მეტყველებენ. ხორცსა და რძეს ჩვენც უხვად მივცემთ სამშობლოს, არ ჩამოვრჩებით რიაზანელებს...

ეს ლტონი სიტყვები როდია! წესელმა მეცხოველეებმა უკვე გაანადღეს იანვარ-თებერვლის დავალებანი...

3. წესელები გულდასმით გაეცნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეღორის, სოციალისტური შრომის გმირის იაროსლავ ჩიჟის ახალ წარმატებებს.

ხელდან ხელში გადადიოდა გაზეთის ახალი ნომერი, რომელიც ქვეყანას ამცნო სასიხარულო ამბავი: ჩიჟი პირობას ანაღღებს, სახელმწიფოს ჩაბარა პირველი პროდუქცია, ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება 200 მანეთია!

ამ ამბავმა გააოცა თმაშეკეცილი მეღორე ქეთო მელაშვილი.

— კაციც ეგა ყოფილა და ქუდიც მაგას ხურებია! — ღიმილით თქვა შრომისმოყვარე ქალმა.

— განა შენ კი გატეხე სიტყვა? — შეეკითხა მეზობელი.

ქეთოს პასუხი არ გაუცია. მის საქმეებზე ჩვენ მოგახსენებთ.

როგორც კი ქეთო მელაშვილი ჩიჟის გმირული შრომის მაგალითს გაეცნო, მტკიცედ გადაწყვიტა: წელს ღორის ხორცის წარმოება გაადიოს 2,2-ჯერ. მაინც ხომ მიაღწია სამაგალითო წარმატებას. ჯერ კიდევ შარშან წესელმა მეღორე ქალმა ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება 150 მანეთზე დაიყვანა.

როგორ მიაღწია ამას? სჯობს ქეთოს მოვუსმინოთ.

— ჩვენი ფერმის გარშემო ათეულ ჰექტარზეა წაბლნარი და მუხნარი, ნაყოფი უხვია. ეს ხელს გვიწყობს, ღორის ხორცის გაიაფებაში. ძალღონეს არ დავზოგავ იმისათვის, რომ წელს ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება 100 მანეთი იყოს. გვეტყვიან ეს სულადობაო? მაგასაც გავზრდით!

არც ანა კერესელიძე ჩამორჩება ქეთოს. მანაც ვალდებულება იკისრა წელს სამშობლოს მიჰყიდოს 2-ჯერ მეტი ღორის ხორცი, ვიდრე შარშან.

გადადგმულია პირველი ნაბიჯი: იანვარში წესელებმა ღორის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა გაანაღდეს! სასიხარულოა კიდევ ის ფაქტი, რომ წესელებს მეზობელი სოფლის მუხლის კოლმეურნეობის მეღორეებიც არ ჩამორჩებიან.

4. მიმზიდველია ზამთრის საღამო მთაში! თოვამ იმატა.

შარაგზაზე სოფლის ახალგაზრდობა გამოჩნდა. კულტურის სახლისაკენ მიიჩქარიან...

კულტურის სახლი წესელთა საყვარელი კერაა. ათობით კოლმეურნეა ჩამჯდარი დრამატულ, მოძღვრალთა, ქორეოგრაფიულ და სხვა წრეებში.

* * *

... გვიან ღამით, როცა ორღობეებში ქალიშვილებისა და ჭაბუკების მხიარული შეძახილები, სიმღერები მიწყდა, დავტოვეთ სოფელი. ხიდიკრიდან უკან მოვიხედეთ, გული სიამაყის გრძნობით ამევსო, ზამთრის თეთრ საბანში გახვეული წესი ილიჩის ნათურებით გაკაშკაშებულ ქალაქს მაგონებდა. დიდი საქმეებით, შემოქმედებითი შრომით ცხოვრობს მთის პატარა შორეული სოფელი.

აკ. გოცირიძე.

„ჰამლეტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც მუსიკა უყვარს

⊙ მარტის პირველ რიცხვებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვლენ ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ალა ოსიპენკო და სვიატოსლავ კუზნეცოვი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სიმღერებსა და ტანცებში „გედის ტბასა“ და „ბახჩისარაის შადრევანში“...

⊙ მარტში რუმინეთსა და ბულგარეთში საგასტროლოდ მიემგზავრება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისე დიმიტრიადი, რომელიც უდირიჟორებს საოპერო სპექტაკლებსა და სიმფონიურ კონცერტებს. ოქტომბერში ოდისეი დიმიტრიადი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრება.

⊙ მომდერალი ნოდარ ანდღულაძე მარტის მეორე ნახევარში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლებში „აიდასა“ და „კარმენში“. ანდღულაძე იმღერებს რადამესისა და დონ-ხოზეს პარტიებს.

* * *

სამხრეთ ოსეთის ანსამბლი უკრაინაში

თითქმის ერთი თვეა, რაც სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გასტროლებზე იმყოფება მოძმე უკრაინის ქალაქებში.

ანსამბლმა კონცერტები გამართა ლუგანსკში, მაკეევკაში, სტალინოში, ამ ქალაქების მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, დონბასის მეშახტეებთან. ამჟამად ანსამბლი იმყოფება ნიკოპოლში, სადაც რამდენიმე კონცერტს გამართავს უკრაინის ამ ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრის მშრომელებისათვის.

უკრაინელი მაყურებლები ყველგან გულთბილად ხვდებიან ჩვენი ანსამბლის მიერ შესრულებულ ოსურ, ქართულ, რუსულ და სხვა მომძე ერების სიმღერებსა და ცეკვებს. ანსამბლი რამდენჯერმე გამოვიდა აგრეთვე ტელემაყურებელთა წინაშე.

აქაური მაყურებელი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ანსამბლის მიერ შესრულებულ ცეკვებს.

ნიკოპოლიდან სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი კონცერტების გასამართავად გაემგზავრება დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, ვინიცაში, კიევში და უკრაინის სხვა ქალაქებში.

ვ. სანაკოევი,
სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

ესტრადაზეა ახალგაზრდული ანსამბლი

თბილისის მანქანათსამშენებლო ტექნიკუმის თვითმოქმედი საესტრადო ანსამბლი, მართალია, სულ რამდენიმე თვის წინათ ჩამოყალიბდა, მაგრამ არსებობის ამ მოკლე ხანში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის გ. ისაევის ხელმძღვანელობით ის უკვე საინტერესო თვითმოქმედ კოლექტივად გადაიქცა.

საესტრადო ანსამბლის პროგრამა მრავალფეროვანია: ქართული კომპოზიტორების საესტრადო ნაწარმოებები, ეროვნული ფორთო ადგილი უკავია რუსულ და საზღვარგარეთულ სიმღერებს, რომლებსაც წარმატებით ასრულებენ ნიჭიერი ახალგაზრდა სოლისტები მურმან ტყეშელაშვილი, ციალა კილაბერია, გიორგი მოროზი და სხვები. გარდა საესტრადო სიმღერებისა და საორკესტრო ნაწარმოებებისა, ანსამბლის რეპერტუარშია ქართული ხალხური ცეკვები (ქოროეგრაფი — ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მოსკოვის VI და ვენის VII მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი გაიოზ გოგლიანი). კონცერტის პროგრამა ცოცხლად, ხასიათერსოდ მიჰყავს ახალგაზრდა კონფერანსიეს ზაზა ოურქაძეს.

„ჰამლეტ, ჩვენი ძმა ხარ შენ!“

— ასე მიმართავდა მგზნებარე ვეორგ ბრანდესი დანიის პრინცის ძეიფეს აჩრდილ, და მართლაც, შექსპირის გენიალური ფუნჯით შექმნილი ჰამლეტის სახე და ხასიათი ახლობელი და გასაგებია მკითხველთა და მაყურებელთა მრავალი თაობა-სათვის. მართალია, ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში, ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც მიდის კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გზით, არ არსებობს „ჰამლეტიზმის“ სოციალური ფესვები და ტიპიური არ ერის მსგავსი სიტუაციები, მაგრამ შექსპირის გმირის ინტელექტუალური სამყარო, უკვდავი ტრაგედიის მთელი ფილოსოფიური შინაარსი მაინც აქტუალურია და ერთგვარად გვეხმარება ახალი წყობის, მომავლის ჰარმონიული ადამიანის აღზრდაში.

„ჰამლეტის“ გმირთა სამყაროს თვითეული ჩვენთაგანი კარგად იცნობს. განა ვის შეუძლია დაივიწყოს „ყოფნა-არყოფნის“ საჭირბოროტო საკითხებით გატაცებული და შეძრწუნებული ჰამლეტი, ერთგული ჰორაციო, ვერაგი კლავდიუსი, გრძნობასაყოლილი გერტრუდა, ნაზი ოფელია, უჭკუო რეზონერი — კარისკაცი პოლონიუსი, თავდაზნაურული წესებზე აღზრდილი ლაერტი, თითქოს ერთ ყალიბში ჩამოსხმული, საკუთარი სახის არმქონე როზენკრანცი და გილდენსტერნი, პირფერი ოსრიკი, მოფიცოლოგოსო მესაფლავენი და სხვები? ამ გმირებთან თვითეული შეხვედრა ჩვენში ახალი ფიქრისა და ენებათაღელვის აღმძვრელია და ამიტომაც არ შეგვიძლია მკაცრი მოთხოვნები არ წავუყენოთ პოპულარული ქართული თეატრის ფრიად საყურადღებო სპექტაკლს.

შექსპირის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია. რუსთაველის თეატრის დადგმაში წარმოდგენილია სამ მოქმედებად და 16 სურათად. ამაში არაფერია საკამათო. ჯერ კიდევ გოეთე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სასურველია ერთგვარი კუპიურები და დადადგილებანი შექსპირის პიესათა თანამედროვეს წარმოდგენებში. დამდგმელმა რეჟისორმა დ. ალექსიძემ ძირითადად გამოიჩინა სათანადო ზომიერება და მის „შემოკლებათა“ გამო სპექტაკლმა მოიგო მოქმედების დინამიზმის, მხატვრული შეკრულობისა და ლაკონიზმის მხრივ.

დ. ალექსიძის სპექტაკლი წარმოგვიდგენს მოწონაგე პიროვნების, ინტელიგენტი ჰამლეტის შეჯახებას კლავდიუსების, პოლონიუსების, ლაერტების, როზენკრანცებისა და გილდენსტერნების საზოგადოებასთან, სადაც ყველა კეთილშობილი საქმე ოდევნება.

რეჟისორ დ. ალექსიძეს და მხატვარ ფ. ლაპიაშვილს თავისებურად მოუმარჯვებიათ მანამდე უკვე გამოყენებული ხერხი: დეკორაციების უცვლელობა (გამონაკლისს შეადგენს სასაფლაოს ჩვენება), ძაძებით მოსილი უძრავი კოლონადა, აღმავალი კიბე, რომელიც ელსინორის ციხე-სიმაგრის მოსახვევებში იკარგება, შუქისა და ჩრდილის თამაში და შენაცვლება, მდიდარი ჩაცმულობა. ყოველივე ეს კარგად ერთვის სპექტაკლის იდეურ-მხატვრულ გამიზნულობას. ახალ დადგმას აჩნევია ტრაგედიის ორიგინალური წაკითხვის ცდის კვალიც. კარგია მსაობრივი სცენები, კარისკაცთა კოსტიუმები, სცენური ეფექტები — იგრძნობა დროის, ეპოქის ფონი, რომელზეც ურთიერთს უპირისპირდებიან ჰამლეტი და კლავდიუსი თავისი კამარილითი. აქვე უნდა აღვნიშნოთ კომპოზიტორ ა. ჩიმაკაძის გამომსახველი მუსიკა, რომელიც სპექტაკლის ორგანული მხატვრულ-მუსიკალური კომპონენტია და თავისი ემოციურობით იპყრობს მსმენელს, აძლიერებს სცენურ დრამატიზმს.

მოქმედება ფაქტიურად იწყება სასახლის სურათით... მეფე-დედოფლის მდიდრული კარისკაცთა უცხო სტუმარ-მასპინძელთა ტრადიციულ შავ კოსტიუმსა და წამოსასხამში გახვეულა ჰამლეტი — გ. გეგეჭკორი. იგი სდუმს, მაგრამ მის დუმილშივე იგრძნობა ზიზღი და დაცინვა სამეფო პორფირში გამოწყობილ კლავდიუსისადმი (ს. ზაქარიაძე), სიცივეა და აღშფოთება, გამოწვეული დედამისის, დედოფალ გერტრუდას (ნ. ლაფაჩი) შეუფერებელი საქციელით...

ბევრი თეატრის მოყვარული შეშფოდა, შეძლებდა თუ ვერა ჰამლეტის როლის დაძლევას ნიჭიერი მსახიობი გ. გეგეჭკორი, როგორ ასწევს იგი იმ ტვირთს, რომელსაც თავისი ძლეკ მხრებით ეკიდებოდა დაუვიწყარი უშანგი ჩხეიძე? — ბუნებრივად იბადებოდა ეს კითხვა. ჯერ აღრეა საბოლოო მსჯავრის გამოტანა ჰამლეტ-გეგეჭკორის შესახებ, ადრეა თუნდაც იმიტომ, რომ ყველა, ვინც სპექტაკლიდან სპექტაკლს ესწრება, დაგვიმოწმება მსახიობის თანდათანობით ზრდაში, მისი სცენური მოქმედების (მიხვრა-მოხვრა, დიქცია, ჟესტიკულაცია, ინტონაციები) სრულყოფაში. პირველ წარმოდგენაზე გ. გეგეჭკორმა მელოდრამატული შთაბეჭდილება დატოვა სიკვდილის და სხვა სცენებში. შემდგომ სპექტაკლებში კი იგი მიზვდა თავის შეცდომას და იგივე (სიკვდილის) სცენა დრამატული კოლიზიის სიმაღლემდე აკაკვს. გ. გეგეჭკორმა კარგად გაიაზრა ჰამლეტის ჰუმანურობა, ეაცთმოყვარეობა. მისი ჰამლეტი — ეს საუნივერსიტეტო კულტურას დაუფლებული რენესანსის ეპოქის მოღვაწეა, რომელიც ყველაზე მეტად აფასებს ადამიანის ღირსებას. მამის სიკვდილისათვის შურისგება მისთვის არის არა უბრალო ფეოდალური „სისხლის აღება“, არამედ საზოგადოებრივი გარდაქმნის ცდა. ამიტომ უფიქრდება დანიის პრინცი თავის თვითეულ ნაბიჯს, ვიდრე საბოლოო განაჩენს გამოუტანდეს ძმის მკვლელ კლავდიუსს. ჰამლეტს — გ. გეგეჭკორს აქვს გაგებული და გადმოცემული ეს ანტითეზა, განსაკუთრებით სცენაში დედოფლის საწოლში, ჰორაციოსთან საუბრებში და ა. შ. აღსანიშნავია გ. გეგეჭკორის თამაში სცენებში ოფელიასთან, პოლონიუსთან და ოსრიკთან, პირველი მოქმედების ფინალში („დროთა კავშირი ირღვევა...“), კლავდიუსის მამხილებელ სცენა-წარმოდგენაში, დიალოგში გერტრუდასთან („ვით დასტოვე ეს მშვენიერი მთის საძოვარი და ამ მყრალ ჭაობს მიაგენი გამოსაკვებად?!“), მონოლოგში „რათ არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი?“, კლავდიუსის სალოცავ ოთახში და სხვ. გ. გეგეჭკორი ისეთი მსახიობია, რომელიც არ კმაყოფილდება მიღწეულით. იგი, ალბათ, ჩაუფიქრდება იმ გარემოებას, რომ მის მიერ ჰამლეტის სახის სრულყოფილ სცენურ განსახიერებას კიდევ ბევრი მუშაობა ესაჭიროება. მაგალითად, სუსტად არის დამუშავებული ტრაგედიის ცენტრალური მონოლოგი „ყოფნა?.. არყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის...“, ჰამლეტის საუბარი აქტიორებთან. აგრეთვე თვალში გეცემათ ერთგვარი სენტიმენტალიზმი და სხვ.

შეძრწუნებული ხელმწიფე ხელიდან ვერ იშორებს პორფირის წითელ წამოსასხამს და მის შეშინებულ „გონების თვალს“ იგი წარმოუდგება როგორც ძმის სისხლი, რომელიც ხელს „ისე სქლად სცხია“. ეს კლავდიუსი — სერგო ზაქარაძეა. გამორჩენილმა, მაყურებლისათვის საყვარელმა მსახიობმა ამ როლში მთელი დაძაბულოთით, შეიძლება ითქვას, ზედმეტი სიჭარბითაც გამოავლინა თავისი ბობოქარი ტემპერამენტი. ვიდრე კლავდიუს-ზაქარაძეზე ვილაპარაკებდეთ, მოვიგონოთ პუშკინის შესანიშნავი სტრიქონები, სადაც მწერალი მიუთითებდა, რომ შექსპირი „არასდროს არ ერიდება თავისი მოქმედი გმირის კომპრომეტირებას. იგი აიძულებს მას ილაპარაკოს მთელი ცხოვრებისეული უშუალობით, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ თავის დროსა და თავის ადგილზე აიძულებს ამ პიროვნებას გამოძებნოს მისი ხასიათის შესატყვისი ენა“.

ვფიქრობთ, რომ როგორც რეჟისორმა დ. ალექსიძემ, ისე კლავდიუსის როლის შემსრულებელმა ს. ზაქარიაძემ ჯეროვნად არ გაითვალისწინეს ეს გარემოება და ამიტომაც სცენის შესანიშნავი ოსტატი ს. ზაქარიაძე ყოველთვის ვერ ახერხებს გამოძებნოს დანიის ვერაგი ხელმწიფის ხასიათის შესატყვისი სცენური ენა. ს. ზაქარიაძის უდავო მიღწევაა კლავდიუსის შეძრწუნების გამოხატვა სასახლეში გამართული წარმოდგენის დროს, როდესაც შეშფოთებული კლავდიუსი ხელს სტაცებს სანთლის და გარბის დაუსრულებელი კიბის საფეხურებზე; აღსანიშნავია შეხვედრა ლაერტთან, ლოცვის პირველი ნახევარი და ფინალი ბოლო აქტი — კლავდიუსის მზაკვრული ბუნების გამომძიებელია. მაგრამ მსახიობს ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა და ამაში ბრალი მიუძღვის რეჟისორსაც. სრულიად გაუმართლებელია შუა სასახლეში გერტრუდას მკერდზე კოცნა, ბორტმაქმედის ტრაფარეტული გრიმი, საოპერო რიგოლეტოს მსგავსი კოსტიუმი და იერი პირველ მოქმედებაში და სხვ. ასევე ს. ზაქარიაძე ზოგჯერ ზედმეტად გატაცებულია ხმის ვიბრაციითა და უადგილო მოდულაციებით. ყოველივე ამას დახვეწა ესაჭიროება.

ფიქრი, ცხოვრების მძიმე დარტყმებით გათელილი არსების სახე შექმნა მ. ჩახავამ — ოფელიამ, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის საერთო ხასიათს როლი ნაკლებ ენათესავება; მხოლოდ უნდა ვუსაყვედუროთ მას ზედმეტი კიბილი სიგიჟის სცენაში. ბ. კობახიძე — პოლონიუსი შედარებით სუსტია პირველ სცენებში. იგი თითქოს უხერხულად გრძნობს თავს ამ როლში და მხოლოდ თანდათან ეუფლება სცენურ სახეს. სპექტაკლის უკანასკნელ წარმოდგენებში უკეთესად წაიყვანა პირველი მესაფლავის როლი ემ. აფხაიძემ. დამახასიათებელ სცენურ პორტრეტებს ჰქმნიან ნ. ლაფაჩი (გერტრუდა), ნ. ანდღულაძე (ჰორაციო), კ. მახარაძე (ლაერტი), კ. საკანდელიძე (ოსრიკი) და ეპიზოდური როლების შემსრულებლები. რაც შეეხება აჩრდილს (ნ. ჯუღელი), იგი მეტისმეტად „ხორციელია“. მეტად „ოფიციალური გენერალის“ შთაბეჭდილებას ტოვებს ფორტინბრასი (ელ. სალოხეციშვილი) საერთოდ სუსტ ფინალურ სცენაში.

რუსთაველის თეატრმა დადგა საინტერესო, კლასიკურ ტრადიციებზე დაყრდნობილი სპექტაკლი. ინტერესით მოველით მეორე შემადგენლობის დებიუტს, როდესაც ჰამლეტის როლში გამოვა ნ. ჩხეიძე, ხოლო კლავდიუსს განასახიერებს აკ. ვასაძე.

ბორის ბახტაძე.

* * *

სურათებზე: (ზევით) ჰამლეტი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გეგეჭკორი; ოფელია — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ჩახავა; კლავდიუსი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე; (ქვევით) პოლონიუსი — ბ. კობახიძე; გერტრუდა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ლაფაჩი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ეს წიგნი დაამშვენებს თქვენს მაგიდას

საბჭოთა ენციკლოპედიების სახელმწიფო სამეცნიერო გამომცემლობამ გასულ წელს მესამედ გამოაქვეყნა წელიწდეული (1957, 1958 და 1959 წწ.). ამ წამოწყებას მომავალში სისტემატური ხასიათი ექნება. კეთდება ფრიად სასარგებლო საქმე — მკითხველთა ფართო წრე მიიღებს მოკლე, მაგრამ რამდენადმე სრულ სურათს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში წინა წელს მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ვერც ერთ უნივერსალურ თუ დარგობრივ ენციკლოპედიაში, პერიოდულად გამოქვეყნებულ ცნობარებში, კრებულებში, სპეციალურ ჟურნალებში თუ სხვა გამოცემებში ვერ ამოიკითხავთ იმდენ ახალ და ყოველმხრივ ცნობებს, რამდენიც ჩვეულებრივად წელიწდეულებშია. პირველთა გამოცემას წლები სჭირდება, ხოლო მეორეთა გამოცემა თვეებით იფარგლება.

წელიწდეულთა გამოცემის მიზანი ის არის, რომ მკითხველთა ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ძირითადი ცნობები და გადავუშალოთ ბრძოლისა და გამარჯვების იმ გრანდიოზული გზის ნათელი სურათი, რომლითაც ძლევამოსილად მიემართებიან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები, ამასთან დაკანონებთ მათ, თუ წლიდან წლამდე როგორ მწვავდება შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობაში, როგორ თანმიმდევრულად კარგავს კაპიტალიზმი თავის პოზიციებს, ირღვევა დრომოჭმული კოლონიალიზმის სისტემა, მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, დეგრადაციას განიცდის კაპიტალისტური მეურნეობა.

წელიწდეულების მასალა სულ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ორი სისტემის თანაარსებობისა და მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების ვითარებაში დრო სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ მუშაობს.

მსოფლიო მასშტაბით მოხაზული ეს მოვლენები სარეცენზიო წელიწდეულში განხილულია 1958 წლის მასალების ანალიზით როგორც მატერიალური წარმოების და კულტურის მთავარი სფეროების, ისე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სქემატური დახასიათების ასპექტში. მასალის შერჩევით, დაჯგუფების წესით და დასკვნებით სარეცენზიო წიგნი მოწონებას იმსახურებს. იგი მდიდარია შინაარსით, დახვეწილია, სადა და ლაკონიური თხრობით მისაწვდომია მკითხველთა ფართო მასისათვის.

წელიწდეულის ეს გამოცემა 1958 წელს მომხდარ მოვლენათა უნივერსალური ცნობარია. იგი შედგება თერთმეტი ნაწილისაგან.

ნაწილი I. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი (გვ. 5-190). აქ მოცემულია შემდეგი მასალები: საერთო ცნობები, მოსახლეობა, სახელმწიფო წყობილება, სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი, პროფკავშირული ორგანიზაციები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უმნიშვნელოვანესი მოვლენები სსრ კავშირის ცხოვრებაში, საგარეო პოლიტიკა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, სახალხო მეურნეობა; გამოფენები, მეცნიერული დაწესებულებანი, კულტურული ცხოვრება, საზოგადოებრივი და კულტურული კონტაქტები საზღვარგარეთულ სახელმწიფოებთან, ბეჭდვითი საქმე, სახალხო განათლება და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა და სპორტი, რელიგიური გაერთიანებანი; მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 1959 წლის წელიწდეული

ყველა ეს საკითხი განხილულია 1958 წელს მომხდარი ფაქტების საფუძველზე, ცალ-ცალკე და ერთმანეთთან ურთიერთ კავშირში.

ნაწილი II. საზღვარგარეთული ქვეყნები, არა თვითმმართველური ტერიტორიები და კოლონიები (გვ. 191-405). ამ ნაწილში უფრო შეკუმშულად აღწერილია 137 ქვეყანა, მათი ტერიტორია, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, მოსაქმეობა, კულტურა და ყოფაცხოვრება.

ნაწილი III. საერთაშორისო ორგანიზაციები, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კონფერენციები (გვ. 406-438).

ნაწილი IV. სოციალისტური ბანაკის **ქვეყნების ეკონომიკა** (გვ. 439-444).

ნაწილი V. კაპიტალისტური ეკონომიკა, 1958 წ. (გვ. 445-462).

ნაწილი VI. ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობის მიზნებისათვის (გვ. 463-475). ეს ნაწილი შეიძლებოდა ცალკე არ გამოყოფილიყო და შესულიყო VII ნაწილში.

ნაწილი VII. მეცნიერება და ტექნიკა (გვ. 476-614). საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობები, თათბირები, კონფერენციები, ექსპედიციები, გამოკვლევები და ა. შ., არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, ასტრონომია და გეოფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია და გეოლოგია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა და ენათმეცნიერება, მათემატიკა, მედიცინა, პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, სოფლის მეურნეობა, სამეცნიერო ყრილობები და კონფერენციები, ფიზიკა, ფილოსოფია სსრ კავშირში, ქიმია, ეკონომიკა, მშენებლობა, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, მეტალურგია, კვების მრეწველობა, ფოტოტექნიკა, კინოტექნიკა და სხვ.

ნაწილი VIII. საერთაშორისო **კულტურული ცხოვრების ზოგიერთი მოვლენები** (გვ. 615-617).

ნაწილი IX. მსოფლიო **გამოფენა 1958

დიდი ქართველი მსახიობი

მარიამ საფაროვ-აბაშიძის დაბადების 100 წლისთავის გამო

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ქართული თეატრი 1879 წელს აღადგინეს და განაახლეს, მისი სცენისათვის გამოარჩიეს და აღზარდეს შესანიშნავი დასი. ძნელი იყო ამ კრებულში პირველობის დაჩემება, სადაც სიცილის მეუფედ ვასო აბაშიძე ბრწყინავდა, ქართველს დედად აღიარებული იყო ნატო გაბუნია, სადაც გმირობა და თავდადება, ვერაგობა და კეთილშობილება, სიყვარული და სიძულვილი ლადო მესხიშვილის სულში ჩამწვდომი ნიჭით იყო გამოხატული. მიუხედავად

ამისა, მარიამ (მაკო) საფაროვ-აბაშიძე იმთავითვე ქართული სცენის მშვენებად და სიამაყედ იქნა მიჩნეული.

ილია ჭავჭავაძემ ნახვისთანავე მარიამ საფაროვ-აბაშიძეს უწინასწარმეტყველა, ჩვენი სცენის თვალი იქნებაო! ა. წერეთელი შემდეგში იგიც ნებდა, პროფესიული თეატრის აღდგენის ერთ-ერთი შთამაგონებელი მარიამ საფაროვ-აბაშიძე იყო. ცნობილია, რომ მარიამ საფაროვ-აბაშიძის მაღალმა ნიჭმა შთაგონა ვანო მაჩაბელი შექსპირის თარგმანს დაბრუნებოდა.

ქართული თეატრის წარმატებები მ. საფაროვ-აბაშიძის სიხალისით იყო გაბრწყინებული.

ამ დიდი ქართველი მსახიობი ქალის ყველაზე დიდ დამსახურებად ის ჩათვლება, რომ ამ შესანიშნავ მხატვრულ მეტყველებაში ისეთ ოსტატობამდე მიეღწია, რომ მისი გამოთქმა, მისი მეტყველება ნიმუშად და საზომად იქცა ქართული მართლმეტყველებისათვის. როცა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად ავტორიტეტული კომისია მუშაობდა, ხშირად მიუმართავთ მარიამ საფაროვ-აბაშიძისათვის, მის უტყუარ მართლმეტყველებაზე შეუმოწმებიათ განსახილველი და გამოურჩევიათ ნამდვილად რუსთაველური ცრურუსთაველურისაგან. მარიამ საფაროვ-აბაშიძის სახით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ სცენას ჰყავდა მხატვრული სიტყვის, ქართული მართლმეტყველების უბადლო ოსტატი და მასწავლებელი, რომლისგანაც თანაბრად იყო დავალებული სცენაზე — მსახიობი და დარბაზში — მაყურებელი. დიდი მსახიობის უკვდავი ღვაწლი ამ დარგში თვით ილია ჭავჭავაძის მიერ არის აღნიშნული: „ყველა სიკეთესთან ერთად, ერთი სიკეთეცა სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს...“

მარიამ საფაროვ-აბაშიძემ მშობლიური ქვეყნის სასცენო ხელოვნებას დიდი ამაგი დასდო. მან ხალხში გაატანა, ხალხს გაუზიარა შექსპირისა და შილერის, გოგოლისა და ოსტროვსკის, ილიასა და აკაკის გულისნადები, მათი მაღალი აზრები და გრძნობები. როდესაც იტალიიდან დაბრუნებულმა გამოჩენილმა მხატვარმა ალექსანდრე ბერიძემ მარიამ საფაროვ-აბაშიძე ოფელიას როლში ნახა, განცვიფრდა და მოიხიბლა, შინ მისვლისთანავე, წარუხოცელი შთაბეჭდილებით აღგზნებულმა, გათენებამდე ფერებით დაწერა ქართველი მსახიობი ქალის პორტრეტი ოფელიას როლში. დიდმა რუსმა დრამატურგმა ა. ოსტროვსკიმ თავის პიესაში („შემოსაკლიანი ადგილი“) საფაროვ-აბაშიძე პოლინას როლში ნახვის შემდეგ, თავის დღიურში ჩაწერა, პოლინას როლი ჩინებულად იყო შესრულებულიო. 1889 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ვინ ჭკუისაგან“ ბ-ნ აბაშიძისა და ქ-ნ საფაროვის დღესასწაული და ტრიუმფი იყო... ამისთანა ფამუსოვი და ლიზა, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე და მარიამ საფაროვი, ბევრს სცენას დაამშვენებდა“...

აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერის“ წარმოდგენა 1887 წლის 8 თებერვალს თბილისის თეატრში — ეროვნულ დღესასწაულად იქცა და ამაში დიდი წელილი მარიამ საფაროვ-აბაშიძის (ცირა) და ლადო მესხიშვილის (გოჩა) სცენური ნიჭის შთამაგონებელ ძალასა და მომხიბვლელ ელვარებას მიუძღოდა.

მ. საფაროვ-აბაშიძის ნიჭის მეოხებით დიდი წარმატება ჰქონდა სცენაზე მრავალ პიესას, მათ შორის ბაიარისა და ვარერბურხის „პარიზელ ბიჭს“ (თარგმნეს დ. ერისთავმა და მ. ჯორჯაძემ), სადაც ის ყოზეფის როლს ასრულებდა. მ. საფაროვ-აბაშიძემ ამ როლის შესრულება განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაზრისით წარმართა და მიტომაც ილია ჭავჭავაძის მოწონება დაიმსახურა.

მარიამ საფაროვ-აბაშიძე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელი რეალისტური თეატრის დიდი მსახიობი იყო. ვასო აბაშიძესთან ერთად ის მოესწრო და მონაწილეობა მიიღო საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელ წარმოდგენაში (ნ. ანტონოვის „ზნის დაბნელება საქართველოში“).

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა მარიამ საფაროვ-აბაშიძის დამსახურება და მას, ერთ-ერთ პირველთაგანს, საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

ქართული თეატრის ისტორია მისაბაძ მაგალითად ინახავს მომაჯადოებელი სიხალისისა და შთამაგონებელი სილამაზის გამომსახველი დიდი ქართველი მსახიობის მარიამ საფაროვ-აბაშიძის სახელს, რომლის სასცენო შემოქმედება თეატრის მოღვაწეთა ახალ თაობებს შთაგონებს იყოს ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა უტყუარი გამომხატველი.

დიმიტრი ჯანელიძე.



თბილისის ხიდი ფუნიკულორის პლატოდან. ფოტო შ. ჩხეტიანის.

ფრანგები ემზადებიან ხრუშჩოვის შესახვედრად

პარიზი, 22 თებერვალი. (საკადესი). აქტიური მზადება ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრისათვის გაჩაღდა საფრანგეთის იმ რაიონებში, ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, რომლებსაც საბჭოთა მთავრობის მეთაური თავისი ვიზიტის დროს ეწვევა.

საფრანგეთის ბევრ დეპარტამენტში ეწყობა ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ადგილობრივ განყოფილებათა სხდომები, რომლებზეც განხილავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის შეხვედრის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მთელმა რიგმა ფრანგულმა გაზეთებმა მოათავსეს საფრანგეთის რუკა, რომელზეც აღნიშნულია საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის მარშრუტი.

ამ დღეებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა საფრანგეთის საზოგადოებრიობის ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობის ისტორიისადმი.

პარიზის მთელი პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის ეკრანებზე გამოვიდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის წარმოების პირველი ფილმი „ნორმანდია-ნემანი“, რომელიც მოგვითხრობს ფრანგი და საბჭოთა მფრინველების ერთობლივ ბრძოლასა და მეგობრობაზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მხარდამხარ იბრძოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ.

პარიზის სამ კინოთეატრში კვლავ დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა ფერად დოკუმენტურ ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“.

საბჭოთა სტუმრები სურაკარტაში

სურაბაია, 23 თებერვალი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები, რომლებიც ინდონეზიაში მეგობრობის ვიზიტით იმყოფებიან, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი ინდონეზიის სოციალური საქმეთა და კულტურის მინისტრის მოჰამედ იამინის და სხვა ოფიციალური პირების თანხლებით 21 თებერვალს ეწვივნენ ქალაქ სურაკარტას (სოლო) — იავის ძველი კულტურის ცენტრს. საბჭოთა სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ქალაქის მერი უტომო რამელანი, ქალაქის მუნიციპალიტეტის მთელი შემადგენლობა, სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს აღდგენითი ცენტრი, სადაც წარმოებს ინვალიდთა მკურნალობისა და მათ მიერ შრომითი ჩვევების სწავლის მუშაობა. აღდგენითი ცენტრის დათვალიერების დროს ახსნა-განმარტებას იძლეოდა მისი დამაარსებელი და დირექტორი, ინდონეზიური მედიცინის ცნობილი მოღვაწე დოქტორი სუხარსო.

შემდეგ საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად მოეწყო დარბაზობა, რომელზეც ქალაქის მერი თავის სიტყვაში მხურვალედ მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრობის ვიზიტს ინდონეზიაში.

საპასუხო სიტყვაში ნ. ა. მიხაილოვმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და ქალაქ სურაკარტის მცხოვრებთ გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მხურვალე სალამი.

გენერალ ნორსტედის საშიში პრეტენზია

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკადესი). გაზეთ „დეილი მეილში“ გამოქვეყნებულია სტივენსონ პაგის პარიზიდან გამოგზავნილი სტატია. იგი წერს გეგმაზე, რომლითაც ნატოს უნდა გადაეცეს ამ სამხედრო ბლოკის მონაწილე ქვეყნების ატომგულის იარაღით აღჭურვილი შეიარაღებული ძალები. ამ გეგმის ინიციატორია ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი ნორსტედი. როგორც პაგი აღნიშნავს, გენერალ ნორსტედს მიაჩნია, რომ კონტროლი ატომგულის იარაღით აღჭურვილი შეიარაღებული ძალებისადმი „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა საიმედო საქმე, თუ იგი იქნებოდა ერთი ადამიანის ხელში — მის ხელში“. ამ გეგმის თანახმად, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები შეინარჩუნებენ საკუთარ ავიაციას, რომელიც განკუთვნილი იქნება წყალბადის ბომბების საზიდავად.

როგორც სტატიიდან ჩანს, ნორსტედის გეგმა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ მდგომარეობას ნატოში, ხოლო, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მისცემდა საშუალებას „ნატოს ატომგულის იარაღით აღჭურვილი ძალების“ შექმნის საბაბით დაუბრკოლებლად განეხორციელებინა თავისი განზრახვა — დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერი აღეჭურვათ ატომგულის იარაღით.

პაგი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა აპირებს მტკიცედ გაილაშქროს ნორსტედის გეგმის წინააღმდეგ ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა თათბირზე, რომელიც მარტში გაიმართება.

გაზეთ „დეილი მეილის“ სტატიამ ინგლისის საზოგადოებრიობის დიდი შეშფოთება გამოიწვია. პრესკონფერენციაზე ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამინისტროს წარმომადგენელს მისცეს კითხვა „დეილი მეილის“ ცნობის გამო. მაგრამ მან უარყო, რომ ამერიკის მთავრობას ან გენერალ ნორსტედს ამ საკითხზე მიემართოთ ინგლისისათვის.

უცნობი თვითმფრინავი კუბის საჰაერო სივრცეში შეიჭრა

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. (საკადესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტმოს ცნობით, უცნობი თვითმფრინავი 20 თებერვალს კუბის საჰაერო სივრცეში შეიჭრა კოხიმარის რაიონში (ჰავანის აღმოსავლეთით) და ბომბები ჩაყარა პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს რეზიდენციის ახლოს. ერთ-ერთი ბომბი აფეთქდა დაახლოებით 200 მეტრზე ფიდელ კასტროს სახლიდან, მაგრამ ზიანი არ მიუყენებია.

პიკეტები თეთრ სახლთან

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, გუშინ პუერტორიკოელთა ჯგუფმა, რომლებსაც მოჰქონდათ პლაკატები, პიკეტის ხაზი მოაწყო თეთრ სახლთან. ისინი მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას პუერტო-რიკოსათვის. პიკეტები მოაწყეს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გაემგზავრა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **რომში** დაიწყო ევროპელ და აფრიკელ კულტურის მოღვაწეთა შეხვედრა. შეხვედრის მიზანია შეიქმნას ევროპისა და აფრიკის ხალხების თანამშრომლობის უფრო ხელსაყრელი პირობები. საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ მწერლები ბორის პოლევოი და გაბიტ მუსრეპოვი, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი ი. ი. პოტეხინი.

◆ **ბრიუსელში** ცენტრალური ვაგზლის შენობაში გაიხსნა დიდი გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებაზე. გამოფენა მოაწყეს საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პატიმართა კავშირმა და ბელგიის ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა ეროვნულმა კონფედერაციამ. გამოფენის საპატიო შეფად ბელგიის დედოფალი ელისაბედი.

◆ **დანიის** სახელმწიფო კანცელარიამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მეფემ ფრედერიკ IX დანიის პრემიერ-მინისტრად დანიშნა ვ. კამპმანი. იგი 1 აპრილამდე განაგრძობს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას.

ნატვრისთვალი

★ ★

მშვენიერი დილაა. ლენინის რაიონში, ლოტკინის მთაზე, ქანდაკებასავით დგას ჭაღარა ნოე ბელაქნელი. ორივე ხელით კვერთხს დაყრდნობია და დასცქერის ფართოდ ფრთებგაშლილ ქალაქს. დგას, და გული სიხარულისაგან საგულეში ვეღარ ეტევა, გარეთ იწევს...

— ერთი წელია, რაც არ მინახავხარ, ჩემო წარმტაცო, ჩემი ჭაბუკობის, ხიყრმის სიყვარულო, იმედო და მომავალო. აი, მე ისევ შენთანა ვარ, აქ, შენს მთაზე, და გესალმები ვით, სატრფოს!

ილიამ საქართველოს უწოდა „დიდი სამოთხის კუთხე პატარა“, და მართლაც სამოთხეა ჩემი სამშობლო, თბილისი კი მისი გულია, ნატვრისთვალია. რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია ჭაღარა თბილისს. ვინ იყო, რომ არ თელავდა მის სხეულს. სისხლის მდინარეები ღებავდა მის დათელილ ქუჩებს. რამდენი აშუღისა და ყარიბისათვის გადაუწლია თავისი მადლიანი კალთა.

დღეს კი აყვავდი, შენ, ჩემო თბილისო, ლალო, თავისუფალო, ვერაგი დამპყრობლებისაგან გამოტაცებულო ნატვრისთვალო, მე გულში ვგიგე მიუდგომელი კოშკი, გივლი, გელოლიავები, თვალისჩინივით გიფრთხილდები.

მახსოვს, ახალგაზრდობისას, როდესაც ამ მთაზე ამოვიდოდი, ხელებს გავშლიდი და მეკონა, მთელ ქალაქს ვეხვეოდი, ვეტრფოდი... ახლა კი...

მოხუცმა ქვერთხი ძირს დაადგა და ხელები არწივის ფრთებივით გაშალა.

— ჰეი-ი... ხად გაგიდგამს, შე დალოცვილო, ფესვები... იქნებ დავბერდი, ხელები დამმოკლდა. — ჩაფიქრდა ბელაქნელი.

მოგონებათა მორევში ატივტივდა ნ. რსულის სურათები... აი იქ, რკინგზა სახელოსნოებში, ცხრაასიან წლებ პირველად აღმართა თავისი ცაფარ შვილმა წითელი დროშა... გაჩნდნ პოლიციელები... ჟანდარმები... მუშ ბი... პლაკატები... ლოზუნგები, ცემ ტყეება, კიბელ-წიგილი... ამხანაგებ მეგობრების, ძმების სიკვდილი... ოჯ ხები აწიოკება... ჩხრეკა... დარბევ თავისი ექვსი თვის ბავშვის აკვნისა ქუჩაში გადასროლა... ბავშვისა და ე დის გულშემზარავი წვიალი... ციხ წამება... კატორღა... და წითელი დრ შის ირგვლივ შემოკრებილი ბოლშევ კები: ლაბაძე, ლეკვიაშვილი, ა შვილი, ებრალიძე და კიდევ ბევ ბევრი სხვა, რომელთა სახელები ფ გვარები მოხუცს უეცრად ვეღარ მ უგონია.

— ოჰ, — მწარედ აღმოხდა მოხუც — რამდენ მთაგანს სიკვდილიც ა ღირსებია თავის მიწა-წყალზე. ვ იცის, რომელ ქვეყანაში იფერფლ მათი ძვლები...

მოხუცს გული აუჩუყდა და თვალ ბიდან ორი მსხვილი მდუღარე ცრ ლი გადმოსცვივდა...

უეცრად მოესმა ახალგაზრდობის ს ამური სიმღერა თბილისზე. მოხუცი გ მოფხიზლდა, ცრემლები მოიწმინდ ბედნიერებისაგან გაბრწყინებული თვა ლებით გადახედა სალაშქროდ მამავალ პიონერებს და ხმამაღლა წაილაპარაკ

— მარადიული ხსოვნა იმათ, ვინ თავისი ახალგაზრდობა შეგწირ ოქვენ, ნორჩებს, რომ ახე ბედნიერდ ახე უდარდელად გესწავლათ, გენ ვარდათ და გემღერათ.

რ. ლეზგიშვილი.

ევროპის თასზე

ამას წინათ დამთავრდა მერვედფინალური შეხვედრები კალათბურთში ევროპის ქვეყნის ჩემპიონთა თასზე ვაჟთა გუნდებს შორის. გამოვლინდა 8 უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად. მათ შორის არის თბილისის „დინამო“, რომელიც მეოთხედფინალში შეხვდება ბულგარეთის ჩემპიონს „აკადემიკს“.

ამ გუნდების პირველი მატჩი შედგება 27 თებერვალს სოფიაში. 21 თებერვალს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა კოლექტივი მოსკოვში გაემგზავრა. დედაქალაქში დინამოელები ადგილობრივ გუნდებთან გამართავენ ორ ამხანაგურ მატჩს და 25 თებერვალს სოფიაში გაემგზავრებიან.

საბჭოთა ნაკრების გამგზავრება

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია საკავშირო ლექტივების საუკეთესო ფეხბურთელებით, სიერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გასამართავად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაეგზავნა ჟ საბჭოთა ფეხბურთელები გაიარ წვრთნას, საბოლოოდ დაადგენენ ძ თადად საბრძოლო შემადგენლობას მოაწყობენ საკონტროლო მატჩებს.

გუნდის შემადგენლობაში არიან: შინი, ნეტო, ვოინოვი, მასლიონკინი, ტრეველი, ბუბუკინი, ოვიეანი, მოსკ ოვი, კალოევი, კოტრიკაძე, იამანიძე, ს სხი და სხვ. ჩვენი ქვეყნის ფეხბურთ თა ნაკრები კოლექტივი გერმანიის დ კრატიულ რესპუბლიკაში ერთ თვეს ს ყოფს.

ქრონიკა

„სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭ მორიგი სესიის განსახილველად შე ნილ იქნება წინადადება საქართველ სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლ საათანადო ცვლილებების შესახებ.

(საქდესი)

რედაქტორი
დ. მპელიშვილი.

24 თებერვალი

თბილისის ღამე

რუსთაველის სახელობის—ერთხელ დაბოცილები, მარჯანიშვილის სახელობის—ორი ფერი, გრიბოედოვის სახელობის—ღვთის მოშიში მართა, სანკულტურის—ერთი შეცდომის შედეგი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კომედია 3-2 (აბ. № 55, 10 ს.), თოჯინების ქართული — ღარუბნელი ჭაბუკი (2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი — განკიცხულნი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ბავშვაძის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი — საშინაოქმშებიანი გმირი, სპარტაკი, კომკავშირელი, კოლხიდა, დიდუბე, ყაზბეგი — მე შენ გეძებ, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — უკანასკნელი დაბრუნება, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — ლტოლვილები, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ბაში-აჩუკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), კოლმეურნე — შემთხვევა ჰეროლშტანში, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო)—მწარე სიყვარული, კიროვის სახელობის პარკი — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, კომუნარების ბაღი — ბაჯბაჯა მეგობარი, თანამგზავრი — მერძევე ჰილია.

* * *

ცხელი ჯიბე

18.55 — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 42-ე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველო ბისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.



თეთრი ოლიმპიადა

ჩრდილოეთის ორჭიდელთა შეხვედრები

სკვო ველი, 22 თებერვალი. (საკადესი). დღეს მოთხილამურე — ორჭიდელები გავიდნენ 15 კილომეტრიანი რბოლის სტარტზე, რომელსაც უნდა გამოეგლინა თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი ჩრდილოეთის ორჭიდში. ჩემპიონი გახდა 22 წლის გერმანელი სპორტსმენი გ. ტომა. 15 კილომეტრი მან გაიარა 59 წუთსა და 23,8 წამში. გუშინ კი იგი 60 მეტრიან ტრამპლინიდან გადახტა 69 და 67,5 მეტრზე და მიიღო 221,5 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ნორვეგიელმა ტ. ენუტსენმა, მესამე — საბჭოთა სპორტსმენმა ნ. გუსაკოვმა, რომელმაც 15 კილომეტრი გაიარა 58 წუთსა და 29,4 წამში, რაც საუკეთესო დროა.

კიდევ ერთი ოქროს მედალი

დღეს მწვანე ბრძოლა გაჩაღდა ყინულოვან ბილიკზე, სადაც მომდინარეობდა შეჯიბრება ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში 1.000 მეტრ დისტანციაზე. საბჭოთა მოციგურავემ კ. გუსევამ აჩვენა საუკეთესო დრო — 1 წუთი და 34,1 წამი და მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედალი მიიღო ხ. ჰაზეგმ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელმაც აჩვენა დრო — 1 წუთი და 34,3 წამი. მესამე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი თ. რილოვა (სსრ კავშირი). მისი შედეგია 1 წუთი და 34,8 წამი.

ასპარეზობა სწრაფდაშვებაში

66 მოთხილამურე ეჯიბრებოდა ერთმანეთს ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისათვის სწრაფდაშვებაში. 3.095 მეტრ ტრასაზე, რომლის სიმაღლეთა განსხვავება 758 მეტრია და რომელზეც მოწყობილია 27 კარი, საუკეთესო დრო აჩვენა ფრანგმა ე. ვეუარნემ. მან დისტანცია გაიარა 2 წუთსა და 6 წამში. 0,5 წამით ჩამორჩა მას გერმანელი ხ. ბ. ლანგი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ფრანგმა სპორტსმენმა გ. პერიიამ — 2 წუთი და 6,9 წამი.

საბჭოთა სპორტსმენები ამ სახეობის შეჯიბრებაში არ იღებდნენ მონაწილეობას.

ჰოკეის მოედნებზე

დაიწყო ოლიმპიური ტურნირის ფინალური შეხვედრები შაიბიან ჰოკეიში. საბჭოთა გუნდმა, რომელიც შეხვდა ჩეხოსლოვაკიის გუნდს, მოიპოვა პირველი ძნელი გამარჯვება ანგარიშით 8 : 5 (3 : 2, 2 : 1, 3 : 2).

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა დაამარცხა შვეიცის ჰოკეისტები 6:3, ხოლო კანადის გუნდმა — გერმანიის ოლიმპიური გუნდი ანგარიშით 12:0.



გუშინ სკვო ველიში გრძელდებოდა VIII ოლიმპიური ასპარეზობა. პროგრამაში იყო სათხილამურო გადარბენა ვაჟთათვის 15 კილომეტრზე, ჩქაროსნული ციგურაობა ქალთათვის 3.000 მეტრზე, ფიგურული ციგურაობა და სლალომი გიგანტი ქალთათვის.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩქაროსნულმა ციგურაობამ ქალთათვის 3.000 მეტრზე. საბჭოთა მოციგურავეებმა ოლიმპიური ასპარეზობის ამ სახეობაში მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს და საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა ჩელიაბინსკელმა სპორტსმენმა ლ. სკობლიკოვამ, რომელმაც აჩვენა დრო — 5 წუთი და 14,3 წამი, მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედალი დაიკავა ვ. სტენინამ.

15 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო ნორვეგიელი მოთხილამურე ბრუსმენი, ხოლო სლალომ-გიგანტში ქალთა შორის გამარჯვება შვეიცარიელმა სპორტსმენმა ივნე რიგეკმა.

ამრიგად, 5 დღის ბრძოლის შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა 12 მედალი მოიპოვეს. აქედან 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები.

XXVII ჩემპიონატი

უკანასკნელი ტურის წინ

ლენინგრადი. 23 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო სსრ კავშირის XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება, ამასთანავე გათამაშდა ტ. პეტროსიანისა და ი. ავერბახის გამოტოვებული პარტია.

ბრძოლის განუახლებლად ნ. კროგიუსი და ვ. ლიბერზონი უაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო ი. სახაროვი დანებდა ვ. სმისლოვს.

ტ. პეტროსიანმა ავადმყოფობის შემდეგ სუსტად ჩაატარა ბრძოლა გროსმაისტერ ი. ავერბახის წინააღმდეგ და 41-ე სვლაზე დამარცხება განიცადა. გადადებულ პარტიებში ლ. შამკოვიჩმა მოუგო ა. სუეტინს, ვ. სიმაგინმა — ი. სახაროვს, ლ. პოლუგაევსკიმ — ი. ნეიხ. მეორე პარტია ი. ნეიმ უაიმით დაამთავრა ვ. სმისლოვთან. დანარჩენი პარტიები კვლავ გადაიდო.

24 თებერვლისათვის ვ. კორჩნოის აქვს 13 ქულა, ე. გელერს — 12,5 ქულა, ტ. პეტროსიანს — 11,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, ვ. ბაგიროვსა და ლ. პოლუგაევსკის — თერთმეტ-თერთმეტი ქულა, მ. ტალიანოვს — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ხვალ მოეწყობა დარჩენილ გადადებულ პარტიათა დამთავრება. გარდა ამისა გათამაშდება ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანის გამოტოვებული პარტია.

შემთხვევები გაეგზნენ

თებერვლის სუსხიანი დამე იყო. სამი გრძელი ჩრდილი ფრთხილად მიიპარა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის დარბაზთან. ერთ წამს შეჩერდნენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, შემდეგ ერთი მთგანი დაიხარა, მას ზურგზე მეორე შეახტა, ფანჯრის რაფას ხელი ჩასჭიდა და ზევით აცოცდა. მეორეც ამავე წესით ავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ ფანჯარა გააღეს. ქვევით დარჩენილს კი ხელი ჩასჭიდეს და ზევით აიყვანეს.

სამივემ ფეხაკრეფით გაიარა სკოლის დერეფნები. დირექტორის კაბინეტი მორგებული გასაღებით გააღეს. ერთხანს მაგიდებსა და უჯრებში აფთიურეს ხელები და, სახეირო რომ ვერაფერი ნახეს, სეიფს მიადგნენ.

—აბა, თამაზ, ქერიმ, არ შემარცხვინონ. ეს სეიფი თუ გავტეხეთ, მერე არა გვიშავს რა.

— ნუ გეფიქრება, როსტომ, გვენდეო,— წამოიძახეს თამაზ მურუსაძემ და ქერიმ შროვემა. ბოლო მთელი ძალით დაატრიალეს.

გატეხილი სეიფიდან ქურდებმა გამოიღეს 2.050 მანეთი, 2.000 მანეთის სამ-